# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 5 ნოემბერი 2002 №210 (1732) | ფასი 50 თეთრი


# კალათბურთის პლანეტაზე ქართველები უსკაფანდროდ დადიან


ნიკა ცქიტიშვილი

მოვლენები გასაოცრად სწრაფად ვითარდება. ეს იქნებ ჩვენთვის ჩანს ასე, მაგრამ ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილისთვის ყველაფერი გაცილებით რთულადაა. ჩვენში სადღეისოდ სპორტი ისე არ ჰყვავის, რომ ამგვარი რამ წინასწარ დაგვეგმოთ, მაგრამ სასიამოვნო ფაქტია და ჩვენც სულაც არ გავურბივართ მას: ნბა-ში ორი ქართველი თამაშობს.

ნბა-მ ახალი სეზონი ქართველებთან ერთად დაიწყო. სტეფანიასთვის ეს რეგულარული ჩემპიონატი უკვე მეხუთეა და იქ, კალათბურთის პლანეტაზე ჩვენებურმა გარკვეული წონა შეიძინა. მართალია, ყოველ თამაშში 20 ქულას არ იხვეჭს და მისი მაისური ისე არ სადდება, როგორც თანაგუნდელ ედი ჯონსისა, მაგრამ მას პატივს სცემენ და ენდობიან. სტეფანია თამაშობს, ნბა-ში თამაში კი ბევრის ოცნება და ვარსკვლავებთან თამაშია. აგერ ვოვამ „საკრამენტოსთან" შეხვედრაშიც იმონაწილევა და შესანიშნავადაც. ბოლო მეოთხედში ისეთი ბურთები ჩაყარა, შეხვედრის ბედი გადაწყვიტა და ამ სეზონში წასაქცევად დაბარბაცებულ „მაიამის" პირველ გამარჯვებაში შეაშველა ხელი.

მოივო ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმაც". ამ ჩვენებურის გუნდმაც ღონიერი მეტოქე „პორტლენდი" დაამარცხა. ნიკას აქ ბევრი არ ჩაუგდია, მაგრამ, აბა, დავუფიქრდეთ, განა რა შეიძლება მოსთხოვო 19 წლის სრულიად გამოუცდელ ბიჭს სკოტი პიპენის და არვიდას საბონისის წინააღმდეგ თამაშში? ესენი ხომ იმდენი წელია, უმაღლეს კალათბურთში ვარსკვლავობენ, რამდენიც ცქიტიშვილს დაბადებიდან არ შესრულებია! ნიკა თავისი ასაკის და გამოცდილების კვალობაზე მაინც შესანიშნავად გამოიყურება. უფრო თამამადაც შეაბიჯა ნბა-ში, ვიდრე მასზე მეტად ჩამოყალიბებულმა და რეკლამირებულმა კალათბურთელებმა, თუნდაც იაო მინგმა ანაც ბოსტიან ნახბარმა, ვინაც, შევნიშნოთ და, იმ „ბენეტონის" ლიდერთაგანი იყო, რომელიც ევროპაში პირველობას იჩემებდა და რომლის შემადგენლობაშიც ცქიტიშვილი ძლივს-ძლივს იმკვიდრებდა თავს. ნახბარის და მინგის „ჰიუსტონს" ჭაბუკმა ქართველმა 10 ქულა ჩაუგდო. სადებიუტო მატჩების კვალობაზე ურიგო შედეგი არაა და მომავლის იმედსაც იძლევა. გაგრძელება იქნება...

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ვლადიმერ სტეფანია

# იტალიური ამბავი ქართულად

## ტრაპატონისთვის ბუა არც ერიკსონია და არც სკოლარი

ეროვნული გუნდის მწვრთნელი უნდა გადადგეს, ნაკრები უცხოელს ჩავაბაროთ — ამას ფიქრობს „სარბიელი" და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასევე ფიქრობენ თურმე იტალიაშიც. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ „სკუადრა აძურას" მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის შემცვლელად ნახევარკუნძულზე ინგლისელთა შვედ დამრიგებელ სვენ გორან ერიკსონს ან ბრაზილიელთა მეხუთედ გამჩემპიონებელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ასახელებდნენ. იტალიელებს არც თვისტომები დავიწყებიათ — დინო ძოფიო, ჯანლუკა ვიალიო, ლუიჯი დელ ნერიო...

მოკლედ, ასარჩევი, იცოცხლეთ, ბევრი იყო, მაგრამ ამბავი ქართულად დამთავრდა. გუშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო საათნახევარი ესაუბრა ჯოვანი ტრაპატონის და... დონ ტრაპის შემცვლელი კაცი არ მეგულება, ის „ცისფერ გუნდს" 2004 წლამდე უთავკაცებსო.

ხოლო იმის შეხსენება, რატომ შეუდგა წყალი ქალარა ტრაპატონის, ვფიქრობთ, ზედმეტია, თუმც მაინც — ევროშესარჩევის 3 მატჩში 4 ქულა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებისთვის ნამეტანი მწირი მონაგარია.



ჯოვანი ტრაპატონი იტალიას 2004 წლამდე უთავკაცებს

# ჩალაძეს თათრებში ოქროს ფასი აქვს

## შეუბღლებამდე მედალია, ბომბარდირობამდე არითმეტიკა



მომავალი სეზონიდან რუსეთის პრემიერლიგას კიდევ სამი ქართველი შეემატება. ლევან სილაგაძის, გიზო ჯელაძისა და დავით ჩალაძის ყაზანის „რუბინმა" უკვე დასრულებულ პირველი ლიგაში გაიმარჯვა და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" ერთად უძლიერესთა შორის ადგილი დაიბევა. „რუბინი" ჩემპიონატის დაწყებისთანავე ცხრილს თავში მოექცა და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა, ფორვარდი დავით ჩალაძე კი მთლიანად ლიგის უპირველესი მეგოლე გახდა ნოვოროსიისკელ ვიაჩესლავ კამოლცევთან ერთად. ჩვენებურმა თავდამსხმელმა „რუბინის" 34 მატჩიდან 25 ითამაშა და 20 გოლი გაიტანა. ბომბარდირთა შორის საუკეთესოს კი რუსები დღეს-ხვალ გამოავლენენ, დათვლიან ვის ნაკლები პენალტი აქვს გატანილი და ნაკლებ მატჩში ვინ შეძლო ამდენი გოლის გატანა. ჩალაძეს, როგორც თავად გვითხრა, პენალტიდან ორჯერ აქვს შედგებული, კამოლცევზეც ნაკლები ითამაშა, კოლეგა-კონკურენტის პენალტები კი რუსებს ჯერ არ დაუთვლიათ.

გუშინ დათოს ყაზანში დავუკავშირდით და გასრულებულ სეზონზე ვესაუბრეთ

— 25 მატჩში 20 გოლი არა მგონია, ცუდი შედეგი იყოს. მეტსაც გავიტანდი, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო 9 შეხვედრა გამოვტოვე, მერე ფორმის აღდგენამაც დრო წაიღო და ყველა მატჩის მთელი ძალით თამაში ვერ შევძელი. ამის მიუხედავად, სეზონით მაინც კმაყოფილი ვარ. მით უმეტეს, გუნდმა დასახულ მიზანს მიაღწია.

**— არ გაგიჭირდებათ პრემიერლიგაში?**

— ვფიქრობ, რომ „რუბინს" უძლიერესთა ლიგაში ადგილის შენარჩუნების პოტენცია აქვს. ახალი სეზონის დაწყებამდე ალბათ კიდევ გავძლიერდებით. გაისად ჩვენი მიზანი პრემიერლიგიდან არგავარდნა იქნება, მერე კი ვნახოთ, ევებ უეფას თასის საგზურისთვისაც ვიბრძოლოთ. ყოველ შემთხვევაში, „რუბინს" საკმაოდ ამბიციური ხელმძღვანელობა ჰყავს და მიღწეულით არ დაკმაყოფილდებიან. პირობებზე საწუწუნო არაფერი გვაქვს.

**— რუსეთის პირველი ლიგის ბომბარდირის შეძენით სხვა გუნდები ხომ არ დაინტერესებულან?**

— რამდენიმე მიწვევა კი მქონდა, მაგრამ სერიოზული არაფერი. „რუბინს" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი და არა მგონია, იქამდე სადმე სხვაგან წავიდე. თანაც მწვრთნელები ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილნი არიან და ამას წინათ კონტრაქტის გაგრძელებაზეც ჩამომიგდეს სიტყვა.

**— რუსულ პირველ ლიგაში საქართველოსა და ლატვიის ჩემპიონატებზე მაღალი დონეა?**

— ძალიან დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ მატჩები რომ უფრო დაძაბულია და მაღალი ტემპია, ამას თქმა არ უნდა. რუსეთში ხომ აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გაკეთებული, ძალისმიერი ფეხბურთია. ადრე „ალანიაშიც" ვთამაშობდი, მაგრამ იქ ტექნიკას მეტი ყურადღება ეთმობოდა, „რუბინში" კი ყველაფერი ჯანზეა აწყობილი.

**— მერე არ გიჭირთ? ჯან-ღონით არც გიზო ჯელაძე გამოირჩევა, არც ლევან სილაგაძე და არც შენ...**

— მაგრამ ჩვენი ტექნიკის ფასად ამ სისუსტის კომპენსირებას ვახდენთ. ისე კი, ამ მხრივ რუსები ვერც გვჩაგრავენ. სეზონს კარგად მომზადებულნი შევხვდით და ენერგია მთელი წელი გაგვყვა.

**— „რუბინი" სხვა ქართველი ფეხბურთელების დამატებას ხომ არ აპირებს?**

— ჯერ არაფერი უთქვამთ. თუმც გამორიცხული არ არის. ხომ ვთქვი, პრემიერლიგისთვის კიდევ გავძლიერდებით და შესაძლოა, რომელიმე ქართველიც შეგვემატოს.

**— უკვე შვებულებაში ხართ?**

— არა, ჯერ არა. კიდევ ვვარჯიშობთ. 11 ნოემბერს დაგვაჯილდოვებენ და ალბათ, ამის მერე თუ მოგვცემენ მცირეხნიან შვებულებას. პრემიერლიგაში ხომ გაცილებით მაღალი დონეა და საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო.

შეგახსენებთ, რომ დავით ჩალაძე უცხო ქვეყნის ჩემპიონატის ბომბარდირი ერთხელ უკვე იყო — 1997 წელს რიგის „სკონტოსთვის" გატანილი 15 გოლით ის ლატვიის საუკეთესო მეგოლე გახდა.

**ქობა ინასარიძე**



დავით ჩალაძემ „რუბინისთვის" 20 გოლი გაიტანა



მიხეილ აშვეთია (მარჯვნივ) დანიელებს გაახსენდათ

# ახლა გაგახსენდით?! რუსეთი თუ დანია? ერთ-ერთი არადანია

**იღბლიანი** გამოდგა მიხეილ აშვეთიას რუსეთში დაბრუნება. ცხრილის ფსკერზე დალექილმა ვლადიკავკაზის „ალანიამაც" სული მოითქვა და ქართველმა თავდამსხმელმაც გოლებით გაახარა ქომაგი. „ალანიას" ჯერაც არა აქვს რუსულ პრემიერლიგაში დარჩენა განაღდებული, თუმც ოსებს სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ და ალბათ ასეც მოხდება.

მერე კი მიხეილ აშვეთიას ვლადიკავკაზურ კლუბთან კონტრაქტის ვადაც ეწურება. მოგეხსენებათ, „ალანიამ" ჩვენებური სეზონის ბოლომდე „კოპენჰაგენიდან" იჯარის წესით გადაიბირა. ახლა დანიელებს მიხეილ აშვეთიას დაბრუნება სურთ.

— „კოპენჰაგენის" გენერალური მენეჯერი უკვე რამდენჯერმე დამიკავშირდა და დანიაში დაბრუნებაზე ჩამომიგდო სიტყვა, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ. დანიელებმა ჩემი პირობა კარგად იციან — მე თამაში მსურს. ამის გარანტიას კი ვერ მაძლევენ, ამიტომაც მირჩევნია, ისევ სხვა კლუბში ვითამაშო, — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ სატელეფონო საუბრისას.

ქართველ თავდამსხმელთან განშორება ვლადიკავკაზის „ალანიასაც" უჭირს. ოსებმა უკვე გამოთქვეს აშვეთიასთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმების სურვილი და „კოპენჰაგენის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებიც წამოიწყეს.

— „ალანიას" ჩემი დატოვება კიდევ უნდა, თუმც სხვა რუსული გუნდებიც მეპატიჟებიან. საკმაოდ ძლიერი კლუბებია და ალბათ ერთ-ერთს ავირჩევ. ახლა მთავარია, დარჩენილი ტურები კარგად ჩავატარო და მსურველებს თავი კიდევ უფრო მოვაწონო — გაგვიმხილა მიხეილ აშვეთიამ.

**კახა ზალამბერიძე**

# რუსთავში აზერბაიჯანელებს სვანი გაუმკლავდა

**ნოემბერი** „გორდამ" მარცხით დაიწყო. ჩემპიონატის მე-14 ტურში რუსთაველებმა ბევრისთვის მოულოდნელად „დილასთან" წააგეს „ფოლადზე" და სატურნირო მდგომარეობაც გაირთულეს. მიუხედავად ამ მარცხისა, წინა კვირა ქვემოქართლელებმა მაინც გამარჯვებით დაასრულეს. საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, კვირას „გორდა" „ნეფთჩის" ეთამაშა რუსთავში ამხანაგურად და 2:1 იმარჯვა.

აზერბაიჯანულ ფეხბურთში არეული სიტუაციაა, ჩემპიონატი შეწყვეტილია. ქვეყნის წამყვან კლუბებს სათამაშო პრაქტიკა რომ არ მოაკლდეს, ფედერაცია მათ ამხანაგურ მატჩებს უხერხებს. ამ მიზნით „ნეფთჩის" „გორდა" შეურჩიეს სპარინგ-მეტოქედ და გორელებთან შერცხვენილმა რუსთაველებმაც ბაქოელებზე იყარეს ჯავრი.

„ნეფთჩისთან" „გორდამ" ამ შემადგენლობით ითამაშა:

***ბედიაშვილი (ბუაძე 46), ლურსმანაშვილი, ბურნაძე, ქერაშვილი, ღვაჩლიანი (შუბითიძე 65), ჩოხელი, ზაზაშვილი, ზ. ლაბაძე, მიქავა (ვოსკანაშვილი 60), გოცირიძე (ომაძე 80), ლ. ალადაშვილი (შიოშვილი 75)***

მატჩი თვალსასეირო გამოდგა, თუმც პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მერე კი მასპინძლებმა იძალეს — ლაშა ალადაშვილმა და ტრავმამოშუშებულმა რევაზ გოცირიძემ სტუმრებს თითო გოლი გაუტანეს. „ნეფთჩიმ" მხოლოდ ერთის გაქვითვა შეძლო. შეხვედრის ბოლოს ბაქოელმა ნახევარმცველმა გაიტანა ეფექტური გოლი და მატჩიც 2:1 დასრულდა.

„გორდაში" ითამაშა ახალგაზრდა თბილისელმა ღვაჩლიანმა. ეს ბიჭი 18 წლისაა და ერთობ მოაწონა გეგუჩაძეს თავი. ღვაჩლიანი ორიოდე დღეა, რუსთავულ გუნდში ვარჯიშობს და, გეგუჩაძის თქმით, „ნეფთჩისთან" კარგად გაართვა თავი მარცხენა მცველის ფუნქციებს.

სტუმრებს სურვილი ჰქონიათ რამდენიმე დღეში საპასუხო ვიზიტით მიეწვიათ რუსთაველები ბაქოში, მაგრამ გორდელებმა ამ წინადადებაზე თავაზიანი უარი თქვეს. მიზეზი საპატიოა — „გორდას" ჩემპიონატში არ ულხინს და საშემოდგომო ეტაპის დარჩენილ მატჩებს მეტი ყურადღება მართებს.

„ნეფთჩისთან" თამაშს დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვერ მოვახერხებთ, თუ ამ დროისთვის ჩვენი სტუმრობის სურვილი ექნებათ აზერბაიჯანელებს, ჩავალთ, პრობლემა არ არისო, გვითხრა გია გეგუჩაძემ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონატის მორიგ ტურში (ხვალ გაიმართება) გეგუჩაძე ლაშა სილაგაძეს ვერ დაიხმარს — რუსთაველმა მცველმა „დილასთან" მატჩში ძვალი გაიბზარა და სავარაუდოდ, გაზაფხულიდან დაეხმარება გუნდს. პრობლემები აქვს დავით ბერიძესაც, რომელსაც საზარდული აწუხებს და მისი თამაშიც გამორიცხულია ზესტაფონის „მეტალურგთან".

**ბაადურ ძმანტალიანი**

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XI ტური
მაინცი 2:2 კარლსრუე

### პორტუგალია
I ლიგა. IX ტური
ბელენენსეში 0:0 ბოავიშტა
პორტუ 5:2 ნასიონალი

### ჩეხეთი
XIII ტური
სპარტა 3:0 ბოჰემიანსი
ლიბერეცი 2:0 ზლინი
სლავია 2:0 ბლშანი

### ინგლისი
პრემიერლიგა
XII ტური
ნიუკასლი 2:0 მიდლსბრო

### ბელგია
პირველი დივიზიონი
XI ტური
ანდერლეხტი 1:2 ლიერსი

### იტალია
სერია C1/A. X ტური
ტრევიზო 1:0 პადოვა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 14 ტური

თბილისი. 2 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

1:0 რუსია (59), 2:0 სირაძე (68)

| ლოკომოტივი | კოლხეთი |
|---|---|
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, მ. ბურნაძე (რ. ონიანი 70), კვარაცხელია, სირაძე, ზ. ლაცაბიძე, რუსია, ზ. ჯანაშია (სოსელია 25; კაიდარაშვილი 89) სათადარიგონი: იგარდავა, გილაური, ჭიჭყვიშვილი, კობახიძე მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | კოლხეთი: ჩუმია, ნარსია, მ. ქობულაძე, ქუტიძე, გორობია, ფაშულიძე, გაბიდაური, ე. გვასალია, კვერნაძე (ცურცუნიძე 59), ბეჟუა, გონჩაროვი სათადარიგონი: სანიკიძე, ხურცილავა, შ. ლონდაძე, ხაჟომია, ბაჩილავა, მ. ფილია მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: გონჩაროვი (58), კვარაცხელია (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. მუშკუდი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 21-19; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 9-2



დამძიმებულმა ზაზა ჯანაშიამ მხოლოდ 25 წუთი ითამაშა

# ცაკარიასმა რუსიას ძერწვა ასწავლა

კახა შალამბერიძე

**დაახლოებით** ერთი თვეა, ფოთის „კოლხეთს" ქულაც ვერ მოუთვლია. ბოლოს ზღვისპირელებმა 5 ოქტომბერს იმარჯვეს ზესტაფონის „მეტალურგთან".

ლუის ცაკარიასის მიერ დაქოქილი „ლოკომოტივი" კი გაშმაგებით ცდილობს საზამთროდ ქულათა მარაგის გაზრდას — ჯერჯერობით გამოდის კიდეც. თუმც ისიც სათქმელია, რომ რკინიგზელთა ნამდვილ ძალას მომავალ ტურებში ვნახავთ — „მილანი", „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" მათი უახლოესი მეტოქეები არიან.

შაბათს „ლოკომოტივი" „კოლხეთს" დაუხვდა და 2:0 აჯობა. რკინიგზელთა შორის კვლავ გამოჩნდა ზაზა ჯანაშია, რომელიც ლუის ცაკარიასმა წინა ტურში „მეტალურგთან" არ იახლა, აქაოდა, ვარჯიშებს უმიზეზოდ აცდენს და მოუმზადებელიაო. ახლა კი ძირითად შემადგენლობაში დაყენა ჯანაშია აშკარად დამძიმებული ჩანდა და მალე შეცვლაც ითხოვა — 25-ე წუთზე წელის ტკივილმა შეაწუხა და მის ნაცვლად მწვრთნელმა სოსელია შეუშვა მოედანზე.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. კონტრკუნტად შექმნილი სახიფათო მომენტები ბევრს სათვალავშიც არ ჩაუგდია. მატჩის შედეგიც თითქოს ფრე უნდა ყოფილიყო, თუმც რკინიგზელებმა ასე არ ინებეს.

მანამდე კი ბორის გონჩაროვს შეეძლო კოლხთა გახარება. ტაიმის მიწურულს თბილისელთა საჯარიმოში შესულმა ორ მცველს თავბრუ დაახვია, მაგრამ მერე სად დაარტყა, ალბათ თავადაც არ იცის. თავში ხელებწაშენილი გონჩაროვი კარგა ხანს ნანობდა მომენტის ხელიდან გაშვებას, მერე კი მსაჯის სასტვენიც გაისმა და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ.

მეორე ტაიმი „ლოკომოტივმა" უფრო მიზანმიმართულად დაიწყო და მეტოქის კართან სახიფათო მომენტებმაც იმრავლა.

ლუის ცაკარიასი და მისი თანაშემწე ზაზა დადუნაშვილიც ომახიანად ამხნევებდნენ ბიჭებს, თუმც „კოლხეთი" მაინც მედგრად იდგა. 57-ე წუთზე კი ფოთელთა საჯარიმოში დავით სირაძემ მოიხელთა ბურთი და ძლიერი აბრაგანიც ამოსცხო — აცილა.

ორ წუთში კი „ლოკომოტივმა" სულაც არაფრისგან გამოძერწა გოლი. ბურნაძემ თავი უხეიროდ მოუქნია საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს, რომელიც მცველებში ჩაკარგულ რუსიას მიუვიდა და შეტევამაც თითქოს სიმწვავე დაკარგა, მაგრამ მამუკა ადგილზე ბურთიანად დატრიალდა და მცველებიც „გაართო", მერე კი საგოლედაც მოიქნია — 1:0.

ამას კოლხთა ანერვიულება მოჰყვა და მალე მოედანზე კინკლაობა „გამეფდა". ლევან ფანიაშვილმა მოშუღართ „ტკბილი სიტყვა შეასმინა" და ორსამწუთიანი გაწევ-გამოწევაც შერიგებით დასრულდა.

68-ე წუთზე ლაცაბიძის ჩაწოდებულს სირაძემ ძლიერი თავური მიაყოლა და ულამაზესი გოლიც გამოცხვა. ამან საბოლოოდ ჩააცხრო ფეხბურთელთა ნერვები და მატჩიც მშვიდად დასრულდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 1 | 0 | 37:3 | 37 |
| ტორპედო | 14 | 10 | 2 | 2 | 29:10 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 10 | 1 | 3 | 23:9 | 31 |
| ლოკომოტივი | 13 | 9 | 1 | 3 | 24:7 | 28 |
| სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:17 | 23 |
| კოლხეთი | 14 | 5 | 2 | 7 | 13:21 | 17 |
| მეტალურგი | 14 | 4 | 1 | 9 | 7:28 | 13 |
| დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 8:19 | 12 |
| მერანი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | 12 |
| მილანი | 14 | 3 | 3 | 8 | 8:23 | 12 |
| გორდა | 14 | 3 | 0 | 11 | 9:24 | 9 |
| ბათუმი | 14 | 1 | 5 | 8 | 8:18 | 8 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება
მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3
მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 9 - | იონანიძე | ტორპედო |
| | დარასელია | დინამო |
| 6 - | გოდერძიშვილი | სიონი |
| | მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | შავგულიძე | სიონი |
| 5 - | ფირცხალაიშვილი | მერანი |
| | კოშკაძე | მერანი |
| | რუსია | ლოკომოტივი |



ლაშა სალუქვაძემ და ბორის გონჩაროვმა ერთმანეთისკენ გაიწიეს

# ბალაძეს ბურთი და მოედანი მისცეს
# წასასვლელად გამზადებული დასარჩენად ემზადება



ასლან ბალაძე

**საქართველოს** მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ავად მოსაგონარია „ბათუმისთვის". ზღვისპირული კლუბი ჯერაც უდრტვინველად ტკეპნის სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურს. მუდამ ამბიციური „ბათუმის" ასე დაბეჩავება ძნელი წარმოსადგენი კი არის, მაგრამ ასლან ბალაძის გუნდის წინასასეზონო ამბებიც რომ უკეთესის იმედს არ ტოვებდა, თავიდანვე ცხადი იყო.

მეცამეტე ტურში შინ რუსთავის „გორდასთან" 1:2 მარცხის შემდეგ კი ხმა დაირხა, გუნდიდან მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძე მიდისო, თუმც–

— „გორდასთან" თამაშის მერე მართლა ვაპირებდი წასვლას. ჩემთვის საყვედური არავის უთქვამს, მაგრამ გუნდის შედეგებიდან გამომდინარე, ასე ჩავთვალე საჭიროდ — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ.

ახლა კი „ბათუმს" ჯიბესქელი პატრონი გამოუჩნდა და ვინძლო გუნდმა ჭაობიდან ამოსვლაც შეძლოს. კლუბით დაინტერესებული პირები უკვე ეცვნენ არსებულ მდგომარეობას და დახმარებაზეც დასტური უთქვამთ.

— სამი-ოთხი დღეა, „ბათუმის" სპონსორობა ახალმა ხალხმა ითავა. საკმაოდ სერიოზული პიროვნებები არიან და იმედი მაქვს, გუნდსაც ეშველება. სწორედ მათთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე „ბათუმში" დარჩენა. ვფიქრობ, კიდევ შემიძლია გუნდს სარგებელი მოვუტანო. თანაც ამ ეტაპზე ბიჭების მიტოვება არასწორად მიმაჩნია.

შემადგენლობას გადახალისება სჭირდება. გაახალგაზრდავება აქამდეც გვქონდა ჩაფიქრებული. მიზნის მიღწევა ამ გუნდითაც შეიძლება, მთავარია, კარგად მოვემზადოთ და ფსიქოლოგიურად არ გავტყდეთ.

უმაღლესი ლიგიდან გავარდნაზე ფიქრიც გამორიცხულია. ახლაც ბოლო ადგილზე რომ ვართ, ესეც არაა მთლად კატასტროფა. კონკურენტები ბევრით არ გვისწრებენ და ამ დანაკარგის ანაზღაურება შესაძლებელია. თანაც ისიც გაიხსენეთ, როგორ მოვემზადეთ სეზონისთვის. გუნდს ფაქტობრივად ერთი შეკრებაც არ გაუვლია. შედეგებიც შესაბამისი გვაქვს. ახლა თავი უნდა დავდოთ და მდგომარეობა გამოვასწოროთ — ესეც ასლან ბალაძის სიტყვებია.

ასე რომ, „ბათუმში" სიახლეებია და ზღვისპირელებსაც იმედი აქვთ, რომ მათი საყვარელი კლუბი ჩვეულ ადგილს დაიბრუნებს. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ნათქვამია...

ძახა შალამბერიძე

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

მეათე ტური

**გურია 1:0 ქობულეთი**
**ალაზანი 1:5 მერცხალი**
**ლაზიკა 1:1 დინამო 2**
**ჭაბუკთა ნაკრები 2:1 ხობი**
**ცხინვალი 3:2 ივერია**
**სამტრედია 0:0 სამგურალი**
**ლოკო 2:1 მცხეთა**
**თსუ 0:0 ლოკომოტივი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 10 | 6 | 4 | 0 | 21:12 | [illegible] |
| მერცხალი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:5 | [illegible] |
| ცხინვალი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:8 | [illegible] |
| ივერია | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | [illegible] |
| მცხეთა | 9 | 4 | 3 | 2 | 14:8 | [illegible] |
| თსუ | 10 | 4 | 2 | 4 | 7:8 | 14 |
| სამგურალი | 10 | 3 | 5 | 2 | 10:10 | 14 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 9 | 4 | 1 | 4 | 16:11 | 13 |
| გურია | 10 | 3 | 3 | 4 | 6:9 | 12 |
| დინამო 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| ლოკო | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | 11 |
| სამტრედია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:14 | 11 |
| ქობულეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 4:8 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:6 | 9 |
| ალაზანი | 10 | 0 | 4 | 6 | 6:22 | 4 |
| ხობი | 10 | 0 | 3 | 7 | 5:18 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ლიგა
პირველი წრე

აღმოსავლეთი

მერვე ტური

3 ნოემბერი

კახეთი — დინამო 2 (სოხ.) 4:1; ნორჩი დინამოელი — მაუდი 4:0; ჰერეთი — გორდა 2 1:0; სიონი 2 — ზოოვეტი 0:2; შავნაბადა — პოლიციის აკადემია 0:2; სამგორი — კრწანისი 0:0; ერთობა — დინამო 3 0:3;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოოვეტი | 8 | 7 | 1 | 0 | 28:8 | 22 |
| დინამო 3 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:5 | 19 |
| ჰერეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 19:5 | 19 |
| დინამოელი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:4 | 17 |
| მაუდი | 7 | 5 | 0 | 2 | 18:10 | 15 |
| კრწანისი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 13 |
| სიონი 2 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:6 | 13 |
| გორდა 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| კახეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | 7 |
| პოლ. აკადემია | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | 7 |
| სამგორი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:18 | 7 |
| შავნაბადა | 7 | 0 | 4 | 3 | 3:8 | 4 |
| დინამო 2 (სოხ.) | 8 | 0 | 1 | 7 | 6:26 | 1 |
| ერთობა | 8 | 0 | 0 | 8 | 3:39 | 0 |

ცენტრალური

მეცხრე ტური

4 ნოემბერი

ოლიმპი — მესხეთი 0:3; თორი — ვარძია 5:1; დილა 2 — ვიტ ჯორჯია 2 1:3; ლიახვი — ყაზბეგი 1:3; პრემა — ცხინვალი 2 1:0; მცხეთა 2 — ვაკე 91 1:0; ფეხბურთის აკადემია — ცხუმი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 8 | 1 | 0 | 21:4 | 25 |
| მესხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:5 | 20 |
| თორი | 8 | 5 | 2 | 1 | 23:7 | 17 |
| მცხეთა 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:11 | 17 |
| ვაკე 91 | 8 | 5 | 1 | 2 | 23:6 | 16 |
| ცხინვალი 2 | 9 | 5 | 0 | 4 | 16:15 | 15 |
| ყაზბეგი | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | 12 |
| პრემა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:14 | 10 |
| ფეხბ. აკადემია | 8 | 2 | 3 | 3 | 11:15 | 9 |
| ოლიმპი | 8 | 3 | 0 | 5 | 8:13 | 9 |
| ლიახვი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:24 | 8 |
| ცხუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| ვარძია | 9 | 0 | 2 | 7 | 5:28 | 2 |
| დილა 2 | 9 | 0 | 0 | 9 | 7:30 | 0 |

დასავლეთი

მეათე ტური

3 ნოემბერი

რაჭა — ბათუმი 2 4:1

4 ნოემბერი

შევარდენი — სქური 0:1; სალხინო — სულორი 0:3; კოლხეთი 2 — ინტერი 5:0; ლუკა — ოდიში 2002 5:1; დინამო (ზუგ.) — დინამო (სოხ.) 2:2; ჩიხურა — სსუ 2:0; მეშახტე — მაღაროელი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 9 | 8 | 0 | 1 | 24:5 | 24 |
| სქური | 9 | 7 | 1 | 1 | 18:10 | 22 |
| მეშახტე | 10 | 7 | 1 | 2 | 13:7 | 22 |
| ლუკა | 9 | 7 | 0 | 2 | 18:9 | 21 |
| მაღაროელი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:11 | 18 |
| ოდიში 2002 | 10 | 4 | 4 | 2 | 17:16 | 16 |
| რაჭა | 9 | 4 | 1 | 4 | 19:13 | 13 |
| სულორი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:12 | 12 |
| ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | 11 |
| დინამო (ზუგ.) | 10 | 3 | 1 | 6 | 11:22 | 10 |
| ბათუმი 2 | 8 | 3 | 0 | 5 | 10:13 | 9 |
| კოლხეთი 2 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:14 | 9 |
| სსუ | 9 | 1 | 4 | 4 | 7:11 | 7 |
| სალხინო | 9 | 1 | 3 | 5 | 11:21 | 6 |
| შევარდენი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:19 | 5 |
| დინამო (სოხ.) | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | 1 |

# ბიჭი და ნაბიჭარი



ლივერპული — ვესტ ჰემი. მაიკლ ოუენმა მეკარე ჯეიმს ორი გოლი გაუტანა

ნზე შესვლიდან ათი წუთი დასჭირდა (ისევე როგორც „არსენალთან" მატჩში) რომ მეტოქე დაემშამთებინა.

„მან არაფრისგან შექმნა გოლი", ალტაცებას ვერ მალავდა მოიესი: 85-ე წუთზე რუნიმ ერიკ ბაკე ჩამოიტოვა, ფინტით გააცურა ლუკას რადებე და დაბალი ბურთი ჩააცურა რობინსონის კარის კუთხეში.

ამ გოლით დაემხო „ევერტონისათვის" სამარცხვინო რეკორდი — ლივერპულელ ლურჯებს 51 წლის განმავლობაში ვერ მოეგოთ ლიდსში. საკუთრივ თამაში კი რთული იყო, ის არ ეთქმოდა, რომ რომელიმე გუნდი იოლად გაიმარჯვებდა. იორკშირელებს მეტი შეეძლოთ, მაგრამ ახლა ზედიზედ ექვსი ვერმოგებული თამაშის შემდეგ „ლიდსი" მეცამეტე ადგილზეა.

„ევერტონს" კი ჩანს, ნამდვილი ვარსკვლავი და გუნდის თილისმა გაუჩნდა, რამაც პირველ ექვსეულში მოაქცია ეს გუნდი.

მწარე მოგონებები ვერ გატეხა „ტოტენჰემმა", რომელსაც მეთექვსმეტე წელიწადია არ მოუგია „ჩელსისთვის" „უაით ჰართ ლეინზე". მოუგებლობა გაგრძელდა უგოლოდ დასრულებული, უაღრესად ტექნიკური და დიდოსტატური თამაშით, რომლის მთავარი გმირიც „ჩელსის" მეკარე კარლო კუდიჩინი იყო. ჯამში სტუმარ-მასპინძელმა ორ-ორი ქულა დაკარგა და ამით მესამე ადგილზე მოამაგრა „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც ბოლო წუთებშილა გამოგლიჯა გამარჯვება „საუთჰემპტონს" შეცვლაზე შესული დიეგო ფორლანის გოლით. ამ გამარჯვებამ ისე გაახარა სერ ალექს ფერგიუსონი, რომ ათქმევინა: „ჩვენს მეტოქეებს ვაფრთხილებ, ნუ ჩამოგვწერენ. ვისაც რაიმე უნდა პრემიერლიგაში, ჩვენთან ბრძოლაში უნდა მიიღოს".

ამასობაში კი რაგინდარა შეჯიბრებაში ოთხწაგებიანი სერია დაასრულა „არსენალმა", რომელიც „ფულემს" ეწვია და ფრანგული ამბავი გაათამაშა. ფრანგ მწვრთნელთა ხელქვეითებმა, ფრანგებმა ტიერი ანრიმ და სტივ მარლემ თამაშის მთავარი მოვლენა გაითამაშეს: ანრის კუთხური მარლემ ჩაჭრა საკუთარ კარში, რამაც „მეთოფეები" მეორე ადგილზე დატოვა, „ფულემს" კი ზედიზედ მესამე წაგება არგუნა.

„ლივერპულმა" კომფორტულად სძლია „ვესტ ჰემს". ორივე გოლი მაიკლ ოუენმა გაიტანა: პირველი, ჩვეულ სტილში, საჯარიმოში შევარდნილმა, მეორე კი კურიოზული სურნელისა: ოუენი მეკარე ჯეიმსს გასცდა, ...ად ...ირიანად ველარ დაარტყა და ბურთს მხოლოდ წაუცაცუნა. საკუთარი კარის გადასარჩენად მიმქროლავი ვესტჰემელი კრისტიან დეილი გაგორებულ ბურთს მაინც ვერ მისწვდა და მასთან ერთად შესრიალდა კარში. „ლივერპული" კი კვლავაც რჩება ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად მიმდინარე პრემიერლიგაში. ლიდერის თავკაცმა ჟერარ ულიემ ჯანი შეუქო ბიჭებს: არ მეგონა, „ვალენსიასთან" თამაშის შემდეგ ამდენს თუ იმოძრავებდნენო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XII ტური

#### ბლექბერნი 0:0 ასტონ ვილა

ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, მ. ტეილორი (თუგაი 76), ნ. იოჰანსონი, ტომსონი, დ. დანი (გილესპი 65), ფლიტკროფტი, დაფი, ენდი კოული, იორკი (ოსტენსტადი 65)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, სტონტონი, მელბერგი, ჯ. სამუელი, ლეონარდსენი, ი. ტეილორი, კინსელა, ბერი, დაბლინი (კროუში 76), ალენი (დ. მური 70)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: დაფი, მური, ბერი
მსაჯი: დინი
23 004 მაყურებელი

#### ჩარლტონი 1:1 სანდერლენდი

0:1 ფლო (16), 1:1 რობერტი (77)
ჩარლტონი: დ. კელი, რობერტი, რუფუსი, ფიში, ჯ. რობინსონი (ჯ. იოჰანსონი 90), პარკერი (კიშიშევი 85), მასტო, კ. ილსენი, კ. პაუელი, ბარტლეტი (ლისბი 73), იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სანდერლენდი: მაჩო, ს. რაიტი, ბიორკლუნდი, კრადოკი, ბები, კილბეინი, გ. მაკკანი, ტორნველი (დ. უილიამსი 65), გრეი, ფლო, ფილიპსი (ბიპერი 80)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
გაფრთხილება: პარკერი, მაკკანი, ბიორკლუნდი, უილიამსი, რაიტი
მსაჯი: გალაჰერი
26 284 მაყურებელი

#### ფულემი 0:1 არსენალი

0:1 მარლე (31 ა.გ.)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, უადე, მელვილი, ბრევეტი, ლეგვინსკი, მალბრანკი (ჰეილსი 54), გოვა, ბოა მორტე, მარლე, საბე (ინამოტო 54)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
არსენალი: სიმენი, ლორენი (ლუჟინი 65), ს. კემბელი, სიგანი, ეშლი კოული, ვილტორდი (კ. ტურე 83), ჟილბერტო სილვა, ედუ, ლიუნგბერგი, ანრი, ბერგკამპი (კანუ 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: საბე, სიგანი, ედუ
მსაჯი: უინტერი
18 800 მაყურებელი

#### ლიდსი 0:1 ევერტონი

0:1 რუნი (80)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ლუკასი (ბარტი 46), ბოიერი, ბაკე, ბარმბი, კიუელი, ვილუკა (ბრიჯესი 68), სმიტი (მაკმასტერი 81)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი, სტაბსი, იობო, ანსუორთი, კარსლი, ლინდეროტი, ტიე (წუსმიტი 82), პემბრიჯი, კ. კემბელი, რადზინსკი (რუნი 75)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ბარმბი, ლუკასი, ბოიერი, ანსუორთი, კემბელი, რაიტი
მსაჯი: ბერი
40 161 მაყურებელი

#### ტოტენჰემი 0:0 ჩელსი

ტოტენჰემი: კელერი, პერი, რიჩარდსი, ბუნიევიჩი, კარი, ფრიდი, რედნაპი, პოიეტი (აჩიმოვიჩი 73), ს. დევისი, შერინგემი (ლ. ფერდინანდი 90), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ბაბაიარო, ჯ. მორისი, ლამპარდი, ე. პეტი, დე ლუკასი (ოლივეირა 88), ჰასელბაინკი (გუდიონსენი 44), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: შერინგემი, აჩიმოვიჩი, კელერი, მორისი, დე ლუკასი
მსაჯი: სტაილზი
36 049 მაყურებელი

#### ბირმინგემი 3:1 ბოლტონი

1:0 პარისი (61), 1:1 ოკოჩა (71), 2:1 სევიჯი (72), 3:1 ჰორსფილდი (83)
ბირმინგემი: ვოსენი, კენა, პარისი, კანინგემი, სედლერი, დევლინი, სევიჯი (ბ. ჰიუზი 84), ა. ჯონსონი, ლაზარიდისი (ჰორსფილდი 60), ჯონი (კ. პაუელი 77), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ბოლტონი: იასკელაინენი, მენდი, ნგოტი, კამპო, უიტლოუ (ნოლანი 78), ფარელი, ფრანდსენი (ჩარლტონი 78), ოკოჩა, რ. გარდნერი, ჯორკაეფი, რიკეტსი (დ. ჰოლდსუორთი 70)
მწვრთნელი: სემ ალარდისი
გაფრთხილება: მორისონი, სევიჯი, მენდი, გარდნერი, უიტლოუ, გარდნერი, ჯორკაეფი
გაძევება: გარდნერი (67)
მსაჯი: ფოი
27 224 მაყურებელი

#### ლივერპული 2:0 ვესტ ჰემი

1:0, 2:0 ოუენი (28, 55)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ტრაორე, ჰიპია, რიისე, დ. მერფი, დიაო, ჰამანი, შმიცერი (ჟერარდი 70), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ი. პირსი, რეპკა, დეილი, მინტო, ტ. სინკლერი, ლომასი, კარიკი, ჯ. კოული, დეფო (ტ. კამარა 67)
მწვრთნელი: გლენ როდერი
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
44 048 მაყურებელი

#### მანჩესტერ იუნ. 2:1 საუთჰემპტონი

1:0 ფ. ნევილი (15), 1:1 ფერნანდესი (18), 2:1 ფორლანი (85)
მანჩესტერ იუნ.: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი (სოლსკიარი 68), ბეკჰემი, ვერონი, ფ. ნევილი (ფორლანი 79), გიგზი, ვან ნისტელროი (ოშეი 87), სქოულზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
საუთჰემპტონი: ნიემი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, მაიკლ სვენსონი, დოდი, მარსდენი (დელგადო 88), ა. სვენსონი, ოკლი, ფ. ფერნანდესი, ორმეროდი (ტესემა 74), ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: დოდი
მსაჯი: რენი
67 691 მაყურებელი

#### ვესტ ბრომვიჩი 1:2 მანჩესტერ სიტი

0:1 ანელკა (51), 1:1 კლემენტი (62), 1:2 გოტერი (71)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, ჯილკრისტი, გრიგენი, ბალიში, კლემენტი, მაკინესი, ე. ჯონსონი, ჩემბერსი (კუმასი 67), რობერტსი, დობი (ს. ჰიუზი 61)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
მანჩესტერ სიტი: ნეში, ჟიხაი, ჰოუი, დისტინი, კ. იენსენი, ფოე, ტიატო (ჰორლოკი 86), ბერკოვიჩი, რ. დანი, გოტერი, ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: მაკინესი, გრიგენი, ბერკოვიჩი, დანი
მსაჯი: ელერი
27 044 მაყურებელი

#### ნიუკასლი — მიდლსბრო

*ნუმერ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„ჩვენ ვიცოდით, რომ ერთი ბიჭი გვყავს სკამზე, რომელსაც ყველაფრის შეცვლა შეუძლია" — თქვა გახარებულმა დევიდ მოიესმა მატჩის შემდეგ.

ხუმრობა ხომ არ არის, მისმა „ევერტონმა" „ელანდ როუდზევე" სძლია „ლიდსს" თამაშში, რომელიც უგოლო დასასრულისკენ მიდიოდა. გამარჯვების გოლი კი კვლავაც (ისევე როგორც „არსენალის" კარში) გაიტანა 17 წლის უეინ რუნიმ, რომელსაც მოედა-



უეინ რუნიმ „ევერტონს" უკვე მეორე გამარჯვება მოუტანა

### I დივიზიონი

#### XVII ტური

**შეფილდ უენსდი 1:3 დერბი კაუნთი**

0:1, 0:2 მორისი (7, 29), 0:3 მაკლეოდი (48), 1:3 ბამბი (61)
დერბი კაუნთი: პოომი, უ. ბარტონი, ევატი, ჰიგინბოთემი, ჰანტი, ლი, ბოლდერი, ბოერტიენი, ძინძლაძე, მაკლეოდი (ელიოტი 90), ლ. მორისი (დ. ბარტონი 31; ტვიგი 88)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ჰანტი
მსაჯი: დურსო
19 747 მაყურებელი

**რედინგი 2:0 მილუოლი**

1:0 ფორსტერი (6), 2:0 ჰიუზი (90)

**ბრაიტონი 3:2 ბრედფორდი**

1:0 ზამორა (10 პ.), 2:0 როჯერი (42), 2:1 გრეი (49), 3:1 ზამორა (57 პ.), 3:2 გრეი (90 პ.)

**კოვენტრი 2:1 როტერჰემი**

0:1 დევისი (37), 1:1, 2:1 მაკალისტერი (38, 82)

**გრიმსბი 1:1 ჯილინგემი**

1:0 ოსტერი (77), 1:1 სონდერსი (89)

**ნოტინგემი 3:0 შეფილდ იუნ.**

1:0, 2:0 ლესტერი (54, 61), 3:0 ჰერეუდი (63)

**პორტსმუთი 0:2 ლესტერი**

0:1 სკოუკროფტი (13), 0:2 მ. ელიოტი (38)

**უოლსოლი 4:2 სტოკი**

1:0, 2:0 ლეიტაო (51, 57), 3:0 ხუნიორი (66), 3:1, 3:2 კუკი (77, 81), 4:2 არანალდე (84 პ.)

**უოტფორდი 1:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 კოქსი (67), 1:1 კუპერი (90)

**უიმბლდონი 4:2 ნორვიჩი**

1:0 შიპერლი (24), 2:0, 3:0 კონოლი (44, 45), 3:1 ჰენდერსონი (71), 3:2 ნილსენი (79), 4:2 კონოლი (83 პ.)

**პრესტონი 3:1 ბარნსლი**

1:0 ფულერი (3), 1:1 გ. ტეილორი (52), 2:1 მაკკენა (62), 3:1 ფულერი (65)

**იფსვიჩი 1:2 კრისტალ პალასი**

0:1 დ. ჯონსონი (19), 1:1 ამბროზი (39), 1:2 ბატერფილდი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 16 | 12 | 2 | 2 | 34:15 | 38 |
| ლესტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 25:14 | 34 |
| უოტფორდი | 17 | 9 | 4 | 4 | 24:23 | 31 |
| ნორვიჩი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:15 | 30 |
| ნოტინგემი | 16 | 8 | 5 | 3 | 29:15 | 29 |
| შეფილდი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:23 | 28 |
| კოვენტრი | 17 | 7 | 6 | 4 | 22:20 | 27 |
| რედინგი | 16 | 8 | 2 | 6 | 20:14 | 26 |
| ვულვზი | 15 | 7 | 3 | 5 | 32:18 | 24 |
| დერბი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:22 | 24 |
| როტერჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 29:22 | 23 |
| კრ. პალასი | 16 | 5 | 8 | 3 | 28:21 | 23 |
| ჯილინგემი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:24 | 23 |
| ბარნსლი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:31 | 22 |
| პრესტონი | 16 | 4 | 8 | 4 | 24:25 | 20 |
| უოლსოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 26:29 | 19 |
| უიმბლდონი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:25 | 19 |
| ბრედფორდი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:24 | 19 |
| მილუოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:27 | 19 |
| იფსვიჩი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:20 | 16 |
| სტოკი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:31 | 14 |
| გრიმსბი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:33 | 13 |
| უენსდი | 17 | 2 | 6 | 9 | 14:25 | 12 |
| ბრაიტონი | 15 | 2 | 1 | 12 | 14:32 | 7 |

### მეორე დივიზიონი

XVI-17 ტური: მენსფილდი — კოლჩესტერი 4:2; ბრენტფორდი — ბლეკპული 5:0; კარდიფი — პიტერბორო 3:0; ჩელტენემი — ჰადერსფილდი 1:0; ჩესტერფილდი — ბარნსლი 1:0; ნორთჰემპტონი — ლუთონი 3:0; ოლდემი — სტოკპორტი 2:0; პორტ ვეილი — ქუინზ პარკი 0:0; ტრანმერი — პლიმუთი 2:1; უიგანი — კრიუ 2:0; უიკომბი — სუინდონი 2:3. ბრისტოლი — ნოტსი გადაიდო

### მესამე დივიზიონი

XVI-17 ტური: ჰარტლპული — იორკი 0:0; ბოსტონი — ექსეტერი 0:3; ბორნმუთი — როჩდეილი 1:0; კემბრიჯი — სუონსი 1:0; კარლაილი — ოქსფორდი 1:0; დარლინგტონი — ლინკოლნი 0:0; ჰალი — სკანთორპი 2:0; ლეიტონი — ბერი 1:2; მაკლსფილდი — შრუსბერი 1:2; როჩდეილი — რაშდენი 0:1; საუთენდი — რექსემი 0:1. ტორკი — კიდერმინსტერი გადაიდო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 12 | 9 | 3 | 0 | 24:9 | 15 | 30 | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 9 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 |
| 2 არსენალი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:13 | 14 | 26 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 8 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 11 |
| 3 მანჩესტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 7 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 16 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 6 |
| 4 ჩელსი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:12 | 8 | 20 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 8 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 |
| 5 ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:16 | 1 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 7 |
| 6 ევერტონი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:15 | 0 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 7 ბლექბერნი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:13 | 5 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 |
| 8 მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 7 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 7 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:4 | 0 | 4 |
| 9 ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 1 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 10 საუთჰემპტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 0 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 11 ფულემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 1 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 4 |
| 12 ბირმინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 13 ლიდსი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:13 | 0 | 14 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:7 | -2 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 8 |
| 14 სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:18 | -7 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | -4 | 7 |
| 15 ასტონ ვილა | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | -4 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:7 | -6 | 2 |
| 16 ჩარლტონი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:17 | -7 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 7 |
| 17 ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | -9 | 11 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | -5 | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:11 | -4 | 9 |
| 18 სანდერლენდი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:16 | -10 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:10 | -6 | 6 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:20 | -11 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 3 |
| 20 ბოლტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | -10 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | -9 | 3 |

**XIII ტური**

9 ნოემბერი
მანჩესტერ სიტი — მანჩესტერი
არსენალი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ლიდსი
ასტონ ვილა — ფულემი
ბოლტონი — ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი — ბირმინგემი
ევერტონი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ლივერპული
საუთჰემპტონი — ბლექბერნი

10 ნოემბერი
სანდერლენდი — ტოტენჰემი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ძოლა (ჩელსი) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 7 |
| ვილტორდი (არსენალი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 6 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XI ტური

**ვერდერი 2:0 ბაიერნი**

1:0 დაუნი (17), 2:0 კრისტაიჩი (80)
ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (სკრიპნიკი 52), კრისტაიჩი, სტალტერი, ფ. ერნსტი, მანინი (ველაგე 83), ლისტეში, მიკუ, ხარისტეასი, დაუნი (რაიხი 76)
მწვრთნელი: თომას შაფი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი (ფინკი 70), ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, შოლი (ზე რობერტო 42), კ. პიზარო, სანტა კრუზი (ციკლერი 66)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ფინკი
მსაჯი: კრუგი
40 200 მაყურებელი

**ბოხუმი 3:0 ჰერტა**

1:0 ვოში (49), 2:0 ფრაიერი (80), 3:0 გუდიონსონი (90)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, გუდიონსონი, შინდცილორცი, ფრაიერი, ვოში (კრისტიანსენი 80), ბაკლი (ბემბენი 71), ჰაშემიანი (გრაულუნდი 86)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, სვერისონი (პინტუ 62), ნენე, ჰარტმანი, შმიდტი, დარდაი (ლუიზაო 76), მარსელინიო, კარვანი, გოორი (ბაინლიხი 66), პრეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ფრაიერი, ბაკლი, პინტუ, მარსელინიო
მსაჯი: ვაინერი
22 009 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ჰამბურგი**

1:0 როსიცკი (67), 1:1 კრისტენსენი (89)
*ჰოლერბახმა ვერ გაიტანა პენალტი (87, აკეილა)*
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, მეცელდერი, ევანილსონი, დედე, შ. რეიტერი (რიკენი 62), ფრინგსი, ჰაინრიხი (კელი 79), როსიცკი, კოლერი, ამოროზო (ევერტონი 62)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუფფალუში, ჰოლერბახი, ლედესმა (მაჰდავი 80), მალტრიცი, ბენჯამინი, რაჰნი (კრისტენსენი 80), მეიერი, რომეო (მეიჩი 90)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ფრინგსი, მალტრიცი, ლედესმა, ჰოლერბახი
გაძევება: მეიერი (90)
მსაჯი: ვაკი
68 600 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:1 შტუტგარტი**

0:1 მაისნერი (19)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, სებესკენი, რამელოუ, ლუსიო, პლასენტე, ბალიტში (ბიეროფკა 60), ბ. შნაიდერი, ბასტურქი, ბაბიჩი (შიმაკი 46), ნოივილი (ბრდარიჩი 46), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, გერბერი, სოლდო, მაისნერი, გლები, ბალაკოვი, ზაიცი (მუტცელი 89), ამანატიდისი (განეა 46; კურანი 68)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: შიმაკი, გლები
მსაჯი: შტარკი
22 500 მაყურებელი

**ჰანზა 2:2 კაიზერსლაუტერნი**

1:0 როდლევიჩი (7), 1:1 ლოკვენცი (22), 2:1 ვორბეკი (72), 2:2 მიფსუდი (78)
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვაჩი, ჰილი, ლანცი, აღუიბე, მეგლე (ვიბრანი 76), როდლევიჩი, ვორბეკი (არვიდსონი 79), პრიკა (სალუ 87)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ლემბი (ტრიოტერი 58), ჰენგენი, გრამოცისი, რიდლი, სფორცა, ბასლერი, ბიელიცა, კლოზე (მიფსუდი 44), ლოკვენცი (ტებერი 87)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: პრიკა, სფორცა, ჰ. კოხი, გ. კოხი
მსაჯი: ოუსტი
18 400 მაყურებელი

**ჰანოვერი 3:1 ვოლფსბურგი**

1:0 შტენდელი (23), 2:0 ბობიჩი (28), 2:1 მუნტიანუ (76), 3:1 კონსტანტინიდისი (82)
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო (მულერი 67), კონსტანტინიდისი, ზურავი, შტეფულე, დე ბუზმანი, ხაიმე, კრუპნიკოვიჩი, შტენდელი (სტაინერი 73), ბობიჩი (ნკუფო 85), იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ვოლფსბურგი: რამტმაიერი, რიტერი (დ. მუნტიანუ 61), ფრანცა, შნოორი, რაუ, კარჰანი, აკონორი (მარპი 61), ეფენბერგი, პონტე, კლიმოვიჩი (გ. პეტროვი 46), ტ. მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: რიტერი, ეფენბერგი, პეტროვი
მსაჯი: იანსენი
38 686 მაყურებელი

**მიუნხენი 3:1 არმინია**

1:0 შუკერი (14), 1:1 ვიშნიარეკი (16), 2:1, 3:1 ლაუტი (30, 38)
მიუნხენი: იენჩი, ჩერნი, ვოტავა, როდრიგო კოსტა, ჰოფმანი, ბორიმიროვი, მაიერი, ჰესლერი (ვაისენბერგერი 89), დ. შუკერი (კურცი 54), ლაუტი (მაქსი 70), შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
არმინია: ჰაინი, რაინჰარდტი, ჰანსენი, ბოგუში, ალბაირაკი (ბოგდანოვიჩი 78), დაბროვსკი, კაუფი, დამაიერი (ჩა 65), ვატა, ვიშნიარეკი, დიაბანგი (პორჩელიო 78)
მწვრთნელი: ბენო მოლმანი
გაფრთხილება: შუკერი, ალბაირაკი
მსაჯი: კემლინგი
22 500 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ნიკლი (8), 2:0 ჩირიჩი (22პ), 2:1 შტრასერი (76)
ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოში, პეტკოვიჩი, პოპოვიჩი, ლარსენი, სანე, იაროლიმი (მიულერი 87), დ. მიულერი, ბულიჩი (მიხალკე 74), ს. ჩირიჩი (დრულერი 83)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი (კლეინდერი 63), კორელი, შტრასერი, ვიტჩგე, ჰაუსვაილერი (ულრიხი 27), შტასინი, აიდოო (ვინცელი 46), ვან ჰუტი, მიუნხი, სკუბი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ლარსენი, პეტკოვიჩი, მიხალკე, სანე, ჰაუსვაილერი, კორელი
გაძევება: შტასინი (88)
მსაჯი: კინჰოფერი
30 600 მაყურებელი

**კოტბუსი 0:1 შალკე**

0:1 მოლერი (79)
კოტბუსი: ლენცი, კალუჟნი, ბეკა, ბერჰალტერი, შროტერი, თ. რისტი, ლოიკა, გებჰარდტი (რაისენბერგერი 81), ლატუფი (რეიმამი 81), რინკი (იუნგნიკელი 73), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფუისი, ვან ჰოოგდალემი, მატელანი, როდრიგესი, პოულსენი, კმეტში, ბიომე (ასამოა 86), გ. ვარელა, ვილმოტსი (მოლერი 67), სანდი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: შროტერი, კალუჟნი, კმეტში, როდრიგესი, ბიომე
მსაჯი: ფლაიშერი
13 340 მაყურებელი

# დაუნი და ფრაიერი

## მუშებმა ბურჟუებს შეუტიეს




REUTERS ბრემენიდან

ოლივერ კანის დამოძღვრამ „ბაიერნს“ ბრემენში ვერ არგო

„ბაიერნი“ კვლავაც ლიდერია, მაგრამ ვაი, ამ ლიდერობას. ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა დაკარგა ის, რითაც მარადჟამ თავს იწონებდა — ღირსება და კონცენტრაციის ზეარაჩვეულებრივი უნარი.

ბაიერნელებმა საშინლად ითამაშეს, მხოლოდ და მხოლოდ წაგებას ემსახურებდნენ, პირველ ტაიმში სულაც მისავათებულები დასეირნობდნენ მინდორზე.

ამ სეზონში „ბაიერნმა“ მეორედ წააგო ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ გუნდს უკეთესობისკენ პირი ჯერაც არ უჩანს.

ბრემენელთა შემტევმა მარკუს დაუნმა რვა მეტრიდან მოსხიპა დაბალი ბურთი მეტოქის კარში, ხოლო მცველმა მლადენ კრსტაჟიჩმა თავით უთავაზა ოლივერ კანს.

ბრემენის „ვერდერს“ აქამდე სამი მატჩი ვერ მოეგო და ნავსი მართლაც შთამბეჭდავად გატეხა.

მიუნხენელებმა კი, ჩემპიონთა ლიგის თამაშების ჩათვლით, ზედიზედ მეოთხე მატჩი ვერ მოიგეს.

„პირველ ტაიმში გვეძინა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი ზეწოლას ვერ უძლებს“ — ასე დაასურათა ვითარება ჰიცფელდმა.

„ვთამაშობთ და ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენს თამაშში თვითდაჯერებულობა უბრალოდ არ ჩანს. არის ხოლმე, რომ ხანდახან არაფერი გამოგდის და ჩვენც ასეთ დღეში ვართ, მაგრამ ამას თავს დავაღწევთ“ — დასძინა ოლივერ კანმა, რომელმაც ტრავმა მოიშუშა, „ბაიერნის“ კარს დაუბრუნდა და ორი გოლიც გაუშვა.

ვერ ივარგა და ისარგებლა დორტმუნდის „ბორუსიამ“ — ბავარიელების მდევარს დიდი ანგარიშით რომ მოეგო, ცხრილის მწვერვალზეც ასკუპდებოდა, მაგრამ „ჰამბურგმა“ მათიას ზამერი და მისი რაზმი ოდენ ფრეს დააჯერა.

ჩრდილოელებმა ძალიან მობილურად ითამაშეს და უფლებაც აქვთ დაიჩივლონ, ყველა საეჭვო ეპიზოდისას მსაჯი ჩემპიონებისკენ იხრებოდა. სწორედ არბიტრთან კამათისთვის გააძევეს ჰოლანდიელი ფორვარდი ერიკ მეიერი. ის 11-მეტრიანი, რომელიც გავაცუდეთ, მსაჯმა ყელში ამოგვადინა — ასე ჰრიდნენ და კერავდნენ კურტ იარას ბიჭები.

ჩეხ ტომაშ როსიცკის ლამაზი გოლიც უნდა აღვნიშნოთ — „ჰამბურგის“ საჯარიმოში მყოფმა, ჰაერში ფეხბურთელმა გაიტანა.

ჩაფლავდა ბოლო დროს ისევ გასიმპათიურებული „ლევერკუზენი“. შტუტგარტელი სილვიო მაისნერის გოლის წყალობით ლევერკუზენელები მე-12-დან მე-14 ადგილზე ჩაქვეითდნენ.

კარგი ჯახი იყო როსტოკში. „ჰანზა“ მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა რენე რიდლევიჩმა საჯარიმო დარტყმით დააწინაურა და მერე ბრძოლა წავიდა, თქვენი მოწონებული. ერიკ გერეტსის გუნდი ორჯერ აგებდა და ორჯერვე გაათანაბრა, რაც „ლაუტერნის“ აზრზე მოსვლის ნიშანი უნდა იყოს.

მესამედ მოიგო ბუნდესლიგაში ახალაღზევებულმა და კერკეტმა „ჰანოვერ 96“-მა. ამ გუნდის ძალა სწორედაც რომ კერკეტობაშია, თორემ დიდად შინაარსიან ფეხბურთს როდი თამაშობს. მასპინძლები დანიელ შტენდელმა დააწინაურა რიკოშეტის წყალობით, ხუთ წუთში კი ფრედი ბობიჩმა გაიტანა ახლოდან და „ვოლფსბურგიც“ გატყდა.

მართალია, რუმინელმა დორინელ მუნტიანუმ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ „ვოლფსბურგი“ იმ დღეს თამაშის შემომბრუნებელ გუნდს არ ჰგავდა და კოსტას კონსტანდინისმა [illegible] გაიტანა.

მიუნხენურმა [illegible] თუ გააგრძელა, [illegible] ხდენს — 1860-მა სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა ბურჟუა „ბაიერნთან“ და რა მოხდება, რომ მალე დაეწიოს და გაუსწროს კიდეც?!

თანაც, მუშურ-გლეხურ „მიუნხენს“ მეტად იმედისმომცემი ფორვარდი გამოუჩნდა — 21 წლის ბენიამინ ლაუტმა „არმინიასთან“ სულაც დუბლი მიითვალა.

როგორც იქნა, დავორ შუკერმაც გაიტანა — ხორვატის გოლი მართლაც ნანატრი გახლდათ მისთვის, პეტერ პაკულტისთვის და გუნდის ფანობისთვის.

არ იქნება, „ბოხუმის“ ვაჟკაცობაზეც არ ვთქვათ. კლასიკური ჯინსები, პიჯაკი და ჰალსტუხი — ჩაცმულობის ასეთი კომბინაცია უყვარს პეტერ ნოირურერს, რომლის გუნდი პირველ ტურებში დაფრინავდა, მერე მიწაზე დაეშვა, მაგრამ კვლავ აიჭრა ზევით.

„ჰერტას“ რბევა მისმა ყოფილმა პლეიმეიკერმა დარიუშ ვოშმა დაიწყო, ყოჩაღმა და რუდი ფიოლერის მოწონებულმა მარჯვენაფლანგელმა პაულ ფრაიერმა გააგრძელა და ჩელსელი ეიდურ გუდიონსენის ძმამ, ტორდურმა ისლანდიურად დაამთავრა.

**დავით თავართქილაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 13 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 19:8 | 11 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 |
| 2 დორტმუნდი | 11 | 5 | 6 | 0 | 17:7 | 10 | 21 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 7 | 11 |
| 3 მიუნხენი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:13 | 5 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 |
| 4 ვერდერი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:19 | 2 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 4 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | -2 | 7 |
| 5 შალკე | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 6 ბოხუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 23:16 | 7 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 6 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 1 | 7 |
| 7 შტუტგარტი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:12 | 5 | 17 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 8 |
| 8 ჰერტა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 1 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 |
| 9 ვოლფსბურგი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:14 | -2 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 4 |
| 10 ჰანზა | 11 | 4 | 2 | 5 | 13:10 | 3 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:9 | -3 | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:1 | 6 | 10 |
| 11 არმინია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:19 | -7 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:16 | -12 | 2 |
| 12 ნიურნბერგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:18 | -4 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 13 ჰამბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:18 | -6 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:6 | 2 | 12 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 1 |
| 14 ლევერკუზენი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | -4 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 15 ჰანოვერი | 11 | 3 | 3 | 5 | 21:26 | -5 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 11:16 | -5 | 5 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 0 | 7 |
| 16 გლადბახი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:10 | 1 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:2 | 5 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:8 | -4 | 3 |
| 17 ლაუტერნი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 2 |
| 18 კოტბუსი | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | -18 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:10 | -9 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | -9 | 4 |

### XII ტური

10 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ჰერტა | — | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | — | ვერდერი |
| ბაიერნი | — | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | — | მიუნხენ 1860 |
| არმინია | — | ნიურნბერგი |
| გლადბახი | — | კოტბუსი |
| შალკე | — | ლევერკუზენი |
| შტუტგარტი | — | ბოხუმი |
| ლაუტერნი | — | ჰანოვერი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 8 |
| აილტონი (ვერდერი) | 7 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 7 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 7 |
| კურანი (შტუტგარტი) | 7 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XI ტური

**ზანკტ პაული 0:1 ფრაიბურგი**

0:1 კულიბალი (23)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, მიულერი, რაიტერი, ბაირამოვიჩი, ბერნერი (კრუზე 78), ა. ცაიერი, კობიაშვილი, ცხადაძე?, რამდანე (ტანკო 53), კულიბალი (მენერი 64)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
მსაჯი: პიკელი
19 780 მაყურებელი

**ობერჰაუზენი 2:2 კიოლნი**

0:1 ლოტნერი (22პ), 1:1 შარპენბერგი (74), 1:2 ლოტნერი (76), 2:2 ბელაკოვი (82)
*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

**როიტლინგენი 2:4 ფიურტი**

0:1 როსლერი (32), 1:1 ჰოფმანი (37), 1:2 რუმანი (48), 2:2 გამბო (55), 2:3 როსლერი (79), 2:4 კაილასი (89)
*ფიურტელი მიხეილ დავითაძე განაცხადში ვერ მოხვდა*

**უნიონი 0:0 დუისბურგი**

**ლიუბეკი 1:3 აინტრახტი**

0:1 კრიშალოვიჩი (4), 0:2 ვაიდენფელერი (16), 0:3 გუიე-მიენი (46), 1:3 ბარვოლფი (70)

**ბრაუნშვაიგი 2:3 ალემანია**

0:1 ჰელინგენი (23), 1:1 რიშე (24), 2:1 მაზინგუ-დინზე (32), 2:2 კლიცბერი (45), 2:3 მეიზაკი (47)

**ტრიერი 2:1 ალენი**

1:0 ბაინშნაიდერი (50), 1:1 ფაინბერი (73), 2:1 ბრაჰამი (90)

**ვალდჰოფი 0:4 ბურგჰაუზენი**

0:1 მოხტარი (9), 0:2 ბერგერი (64), 0:3 აგუ (77), 0:4 ფრუბისი (87)

**მაინცი — კარლსრუე**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 11 | 6 | 5 | 0 | 25:12 | 23 |
| აინტრახტი | 11 | 7 | 1 | 3 | 23:11 | 22 |
| ფრაიბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:10 | 22 |
| ტრიერი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| ობერჰაუზენი | 11 | 5 | 4 | 2 | 13:8 | 19 |
| ალემანია | 11 | 5 | 4 | 2 | 18:14 | 19 |
| როიტლინგენი | 11 | 6 | 0 | 5 | 21:20 | 18 |
| მაინცი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:9 | 17 |
| ფიურტი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:11 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:14 | 16 |
| ლიუბეკი | 11 | 5 | 1 | 5 | 21:17 | 16 |
| უნიონი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:23 | 13 |
| დუისბურგი | 11 | 2 | 6 | 3 | 13:16 | 12 |
| ალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:20 | 9 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 3 | 5 | 9:16 | 9 |
| ზტ. პაული | 11 | 2 | 2 | 7 | 16:28 | 8 |
| ბრაუნშვაიგი | 11 | 1 | 2 | 8 | 13:29 | 5 |
| ვალდჰოფი | 11 | 1 | 1 | 9 | 10:29 | 4 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

30-15 ტური: ესენი — იურდინგენი 1:0; ვატენშაიდი — პადერბორნი 4:0; ქემნიცი — ბაბელსბერგი 0:1; კილი — აუე 1:0; ჰამბურგი (მ) — ლევერკუზენი (მ) 1:0; დინამო — კიოლნი (მ) 1:3; დორტმუნდი (მ) — დრეზდენი 6:1. *ვერლი — ოსნაბრიუკი გადაიდო, მიუნსტერი — ვერდერი (მ) ხვალ გაიმართება*

## სამხრეთ რეგიონალლიგა

30-17 ტური: უნტერჰახინგი — დარმშტადტი 4:0; კოკერსი — აინტრახტი (მ) 0:3; აალენი — ნოინკირხენი 1:0; ოფენბახი — ერფურტი 1:1; ვეჰენი — შვაინფურტი 3:4; რეგენსბურგი — ზაარბრიუკენი 0:0; ბაიერნი (მ) — პფულენდორფი 2:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — აუგსბურგი 0:1

# ეჰ, ვინ შეგარგებს დასვენებას, ალესანდრო




REUTERS მოდენიდან

მოდენა — იუვენტუსი. სტუმრებმა ალესანდრო დელ პიეროს თავურით მოიგეს

„რომა" „პერუჯასთან" აგებდა, მაგრამ გაათანაბრა. თუ გავითვალისწინებთ ორ გარემოებას, ერთს იმას, რომ იტალიაში დიდ გუნდებს პატარა გუნდებთან გარანტირებული არაფერი აქვთ და მეორეც იმას, რომ „რომას" მეორე ტაიმში კაცი აკლდა — მოედნიდან მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი გაუძევეს — მაშინ ფაბიო კაპელოსა და მისი ბიჭების შექებაც შეიძლება.

თან, ჩამორჩენაც არის და ჩამორჩენაც, ხომ მართალია? ერთია, როდესაც 0:1-ს აგებ და გაქვითავ, ხოლო მეორე, როდესაც გასაბათილებელი ორი გოლია. პერუჯელთაგან გოლები ზე მარიამ და ფაბრიციო მიკოლიმ გაიტანეს (ზე მარიამ პენალტი შეაგდო), ხოლო რომაელთაგან კრისტიან პანუჩიმ და ფრანჩესკო ტოტიმ.

ერთი სიტყვით, ყოჩაღ „რომა", მაგრამ, აბა, ცხრილსაც ჩავხედოთ? გამოდის, რომ კაპელოს რაზმი დღეისათვის რვა ქულით ჩამორჩება ლიდერ „ინტერს", რომელმაც „კომოს" 2:0 აჯობა და ამ სეზონში კვლავ წაუგებელია.

ფაქტობრივად, სურათი არ შეცვლილა: „რომა" ძველებურად არათანაბარია, მაგრამ ეპიზოდებში ყოჩაღ ფეხბურთს თამაშობს, რაც მის გულშემატკივრებს არ ახარებს, მაგრამ მუდმივი იმედით აცოცხლებს. თუ ამბიციურ დედაქალაქელებს რამე უნდათ, აუცილებლად მოგებებზე უნდა გადავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ „პერუჯასთან" შეხვედრაში ვერ ითამაშეს დაშავებულმა გაბრიელ ბატისტუტამ და ტემპერამენტიანმა ანტონიო კასანომ. კასანოს არყოფნის მიზეზი ის გახლდათ, რომ შაბათს ვარჯიშზე არ მივიდა, რის გამოც დასჯილი ბრძანდებოდა.

რომაელთა პრობლემები პირველი ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე წამოიზვირთა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მეკარე ანტონიოლიმ საკუთარ საჯარიმოში მიკოლი წააქცია, რისთვისაც იგი გააძევეს. „პერუჯას" სასარგებლოდ კი პენალტი დანიშნეს. ანტონიოლის ნაცვლად კარში ივან პელიცოლი დადგა, რომელმაც ზე მარიას დარტყმულის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. პელიცოლი რომ შესულიყო, კაპელომ ვინჩენცო მონტელა გაიყვანა მოედნიდან — პირწმინდა იტალიური გადაწყვეტილებაა.

პირველი გოლიდან ოთხ წუთში კი „პერუჯამ" მეორედაც იზეიმა: ლიმამ რატომღაც თავით უკან გადააგდო ბურთი ანუ, ზემოხსენებულ მიკოლის საჩუქარი მიართვა და მანაც ჩინებულად ისარგებლა მომენტით.

მაგრამ, შესვენების შემდეგ „რომამ" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ, 67-ე წუთზე პანუჩიმ შეამცირა ახლოდან სხვაობა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ტოტიმ კანდელას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმით გაქვითა.

ზემოთ „ინტერზეც" ჩამოვაგდეთ სიტყვა. „შავ-ლურჯებმა" 58-ე წუთამდე ვერაფერი მოუხერხეს „კომოს", შემდეგ კი ორი გოლი გაუტანეს: დომენიკო მორფეოს ჩაკიდებული ბურთი კომოელთა მეკარემ, ალექს ბრუნერმა ვერ იხელთა, ხოლო კრისტიან ვიერიმ ზუსტად შეასრულა თავდამსხმელის მოვალეობა. 65-ე წუთზე კი „ინტერის" კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, ურუგვაელმა ალვარო რეკობამ მისთვის ჩვეული ოსტატური დარტყმით მეორედ დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი.

ჩემპიონის, „იუვენტუსის" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ, გუნდის კაპიტანს და ლიდერს ალესანდრო დელ პიეროს დასვენების საშუალება მისცა — მოდენას სტადიონზე იგი მატჩს თავიდან მოედნის კიდეზე მდგომი სკამიდან უყურებდა. მაგრამ თამაში ისე დაიწყო, რომ „მოდენას" თავდამსხმელს, ჯუზეპე სკულის მსაჯებმა ჯერ გოლი არ ჩაუთვალეს, ხოლო შემდეგ მან თავად გაუშვა ხელიდან ორი საგოლე შანსი. ლიპისთვის ეს მეტისმეტი აღმოჩნდა და 56-ე წუთზე „მაესტრომ" დელ პიეროს დასვენება შეაწყვეტინა, რამაც შედეგი გამოიღო, „ბებერმა ქალბატონმა" გაიმარჯვა და ცხრილში მესამე პოზიციაზეა.

ხოლო სერია A-ს ყველაზე შემტევი გუნდების დაპირისპირება პარმაში „კიევოს" გამარჯვებით დასრულდა. მსაჯის მიერ წამატებულ მესამე (!) წუთზე „მფრინავ ვირთა" შორის შეცვლაზე შესულმა სერჯო პელისიერმა მატჩის ერთადერთი და თავისი პირველი გოლი შეაგდო.

ბაპუნა ძედია



REUTERS რომიდან

ფრანჩესკო ტოტიმ „რომა"
სირცხვილისგან იხსნა

## იტალია

### სერია A. VIII ტური

**მილანი 2:0 რეჯინა**

1:0 ინძაგი (20), 2:0 რივალდო (63)
რივალდომ ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა (ლაურსენი 73), კალაძე, გატუზო, ბროკი, ზეედორფი (სერჯინიო 69), რუი კოშტა (ამბროზინი 77), რივალდო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
რეჯინა: კასტელაცი (ბელარდი 29), ფირანეკა, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, მორაბიტო, მესტო, მოცარტი, პარედესი, ლეონი (ბოგდანი 46), ნაკამურა (ჩირილო 23), დი მიკელე
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: კალაძე, პარედესი, ბელარდი
გაძევება: ვარგასი (18)
მსაჯი: დე სანტისი
60 000 მაყურებელი

**კომო 0:2 ინტერი**

0:1 ვიერი (58), 0:2 რეკობა (65)
კომო: ბრუნერი, ტომაში, პადალინო, ბრეგი, სტელინი, ბინოტო (მუსინჩი 66), კოუ ალეგრეტი, პეკა (კარბონე 66), მ. როსი (კორენტი 75), გოდეაში
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, ფ. კანავარო (ადანი 47), პასკუალე (კოკო 73), ს. კონსეისაუ, ალმეიდა, ემრე, რეკობა, ვიერი, კრესპო (მორფეო 58)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: როსი, ვიერი, პადალინო, ალეგრეტი, პეკა
მსაჯი: კოლინა
14 000 მაყურებელი

**მოდენა 0:1 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (74)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, პონცო (კამპედელი 79), მაური, მილანეტო, ალბინო (ტალდო 79), ბალესტრი, დ. კამარა, სკული (ფაბრინი 86)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, კამორანეზი (მორეტი 46), ტაკინარდი, ბაიოკო (კონტე 66), ძამბროტა, ნედვედი, მ. სალასი (დელ პიერო 56), დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: მილანეტო, ბალესტრი, მაური, ძამბროტა, პონცო, მილანეტო
გაძევება: მილანეტო (82)
მსაჯი: რაკალბუტო
17 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:2 ლაციო**

0:1 კორადი (44), 1:1 ატცორი (46), 1:2 სტანკოვიჩი (80)
ემპოლი: ბერტა, ბელური, კრიბარი, ატცორი, ლუკენი (აგოსტინი 71), ჯამპიერეტი, გროელა, როკა, ვანუკი (კაპელინი 76), დი ნატალე, საუდატი (ტავანო 31)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ლაციო: პერუცი (კონჩეტი 31), პანკარო, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, დ. სტანკოვიჩი, სიმეონე, ლივერანი (კ. ლოპესი 52), სეზარი, კორადი, კოუზა (ფიორე 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ნეგრო, სეზარი, ვანუკი
მსაჯი: კასარა
10 000 მაყურებელი

**რომა 2:2 პერუჯა**

0:1 ზე მარია (39პ), 0:2 მიკოლი (43), 1:2 პანუჩი (65), 2:2 ტოტი (71)
რომა: ანტონიოლი, ალდაირი, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ (გუიგუ 46), ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი, მონტელა (პელიცოლი 37), დელვეკიო (ტომაზი 80)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პერუჯა: ს. როსი, რეზაეი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო (ბარონიო 62), ბლაზი, ობოდო (ლ. პალუკა 80), გროსო, მიკოლი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერჯო კოზმი
გაფრთხილება: ობოდო, ტოტი, ბლაზი, დელვეკიო, რეზაეი, ვრიზასი, გროსო, დი ლორეტო, როსი
გაძევება: ანტონიოლი (36)
მსაჯი: ტრენტალანჯე
55 000 მაყურებელი

**პარმა 0:1 კიევო**

0:1 პელისიერი (90)
პარმა: ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, ფერარი, ბენარივო, ლამუში, დონატი, ე. ფილიპინი (ბარონე 89), ნაკატა, მუტუ, ბონაცოლი (ჯილარდინო 74)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორი, ლეგროტალიე, დანა, პეზარეზი, ლაზეტიჩი (დელა მორტე 56), პეროტა, კორინი (დ. ანდერსონი 89), დ. ფრანჩესკინი, ბირჰოფი, ბეგეტო (პელისიერი 63)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ლაზეტიჩი, დანა, კორინი
მსაჯი: ტომბოლინი
14 929 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 ბოლონია**

უდინეზე: დე სანქტისი, კროლდრუპი, სენსინი, თ. მანფრედინი (ბერტოტო 79), ალბერტო, პინცი (როსიტო 60), დ. პიზარო, ჯემიტი, იორგენსენი, იანკულოვსკი (იაკინტა 86), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბოლონია: ჯ. პალიუკა, მ. კასტელინი, ძანკი, ძაკარდო, ნერვო, კ. ამორუზო (ფერარა 57), ლ. კოლუჩი, პარამატი, სალვეტი, ბელუჩი (დელა როკა 74), ხ. კრუზი (ვანოლი 82)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: პინცი, პიზარო, ბელუჩი, ძაკარდო, ალბერტო, მანფრედინი
მსაჯი: როდომონტი
25 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:0 პიაჩენცა**

1:0 სალა (78), 2:0 კომანდინი (88)
ატალანტა: ტაიბი, სალა, ნატალი, კარერა, ფოლიო (გოტიერი 59), დ. ძენონი, ძაური, ბერეტა (დაბო 69), ბელინი, ბიანკი, კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, კრისტანტე (სტელა 81), რიჩი, ტრამეძანი, დი ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო, ჰუბნერი, კაზა
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: ბერეტა, ძაური, ლამაკი
მსაჯი: ბოლონინო
14 000 მაყურებელი

**ტორინო 0:2 ბრეშა**

0:1 ტარე (30), 0:2 ბაჯო (86)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, კომოტო (სომეზე 46), ვერგასოლა (ოსმანოვსკი 80), დე ასენტისი, კონტიკიო (მასპერო 75), პ. კასტელინი, ფერანტე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ბრეშა: მიჩილო, ჯ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, ბაკინი (მარეკო 74), ა. ფილიპინი, მატუზალემი, აპია, სერიჩი, რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: მატუზალემი, დე ასენტისი, ბაკინი, ვერგასოლა
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 10 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 |
| 2 მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 11 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 7 |
| 3 იუვენტუსი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 7 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 4 ლაციო | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 14 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 |
| 5 ბოლონია | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 6 კიევო | 7 | 4 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 7 რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 16:12 | 4 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 7 |
| 8 ემპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 |
| 9 პარმა | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 |
| 10 მოდენა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 11 ბრეშა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | -2 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 |
| 12 პერუჯა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | -4 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | -6 | 2 |
| 13 უდინეზე | 7 | 2 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 |
| 14 პიაჩენცა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 15 რეჯინა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 16 კომო | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 |
| 17 ატალანტა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:13 | -7 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 18 ტორინო | 7 | 1 | 0 | 6 | 3:14 | -11 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | -9 | 0 |

**I (გადადებული) ტური**

6 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| კიევო | - | პერუჯა |
| პიაჩენცა | - | იუვენტუსი |
| ატალანტა | - | მოდენა |
| ემპოლი | -- | ინტერი |
| მილანი | - | უდინეზე |
| პარმა | - | ბრეშა |
| რეჯინა | - | ლაციო |
| რომა | - | კომო |
| ტორინო | - | ბოლონია |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფ. ინძაგი (მილანი) | 7 |
| ტოტი (რომა) | 7 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 7 |
| ვიერი (ინტერი) | 7 |
| ხ. კრუზი (ბოლონია) | 4 |

### სერია B

**X ტური**

**ანკონა 2:1 მესინა**
0:1 სულო (5), 1:1, 2:1 მაინი (21, 44)

**ბარი 0:1 პალერმო**
0:1 მანიერო (7)

**კალიარი 1:1 ლეჩე**
1:0 ლუპენტი (43), 1:1 ვუცინიჩი (60)

**კატანია 1:1 ასკოლი**
1:0 ოლივეირა ბაროსო (73პ), 1:1 ფონტანა (90პ)

**ლივორნო 2:0 ჯენოა**
1:0 პროტი (7), 2:0 ტული (79)

**ნაპოლი 1:2 სიენა**
1:0 დიონიჯი (26), 1:1 რიკო (68), 1:2 რუბინო (90)

**სამპდორია 1:1 ტრიესტინა**
0:1 პარიზი (36პ), 1:1 დომიცი (86)

**ტერნანა 1:0 კოზენცა**
1:0 ბორგობელო (45)

**ვენეცია 1:0 სალერნიტანა**
1:0 მალდონადო (89)

**ვერონა 4:2 ვიჩენცა**
1:0 კოსატო (15), 1:1 შეოკი (17პ), 2:1 ხ. სალგადო (23პ), 3:1 კოსატო (25), 3:2 შეოკი (55პ), 4:2 მ. ვიერი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივორნო | 8 | 5 | 0 | 3 | 10:5 | 15 |
| კალიარი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:6 | 15 |
| ანკონა | 8 | 3 | 5 | 0 | 12:7 | 14 |
| სამპდორია | 8 | 3 | 5 | 0 | 11:7 | 14 |
| ტერნანა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 14 |
| ლეჩე | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 13 |
| სიენა | 8 | 3 | 4 | 1 | 6:4 | 13 |
| პალერმო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 13 |
| ტრიესტინა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| ბარი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:5 | 10 |
| კოზენცა | 8 | 3 | 1 | 4 | 6:8 | 10 |
| ჯენოა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:7 | 9 |
| ასკოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:6 | 9 |
| ვენეცია | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | 9 |
| კატანია | 8 | 2 | 3 | 3 | 9:14 | 9 |
| ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 8 |
| მესინა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| ნაპოლი | 8 | 1 | 4 | 3 | 11:13 | 7 |
| სალერნიტანა | 8 | 2 | 0 | 6 | 7:15 | 6 |
| ვიჩენცა | 8 | 0 | 4 | 4 | 10:17 | 4 |

### სერია C1/A

მე-10 ტური: არეცო — ალძანო 1:1; ჩეზენა — პრატო 3:2; ჩიტადელა — ლუკეზე 0:0; ლუმეცანე — სპალ 0:1; პიზა — ვარეზე 2:1; პისტოიეზე — ალბინოლეფე 0:1; პრო პატრია — კარარეზე 2:2; სპეცია — რეჯანა 1:1. ტრევიზო — პადოვა წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე)

### სერია C1/B

მე-10 ტური: აველინო — მარტინა 1:0; ბენევენტო — კროტონე 1:0; ფერმანა — ტორესი 1:0; პატერნო — სორა 1:0; პესკარა — ლანჩანო 2:0; სამბენედეტეზე — პეზარო 0:0; ტარანტო — აკილა 2:0; ტერამო — ჯულიანოვა 4:1; ვიტერბეზე — კიეტი 0:2

# იტალიის ჩემპიონატი
## მერვე ტურის მატჩი
## მილანი 2:0 რეჯინა
კახა კალაძე: 76 წუთი

# კალაძე ბალერონი არაა

ანჩელოტის გუნდს დიდი ანგარიშით მოგება სავსებით ხელეწიფებოდა, თუმც მხოლოდ 2:0-ს დასჯერდა. ფილიპო ინძაგი და კლარენს ზეედორფი სულ ცოტა სამჯერ გავიდნენ მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბელარდიმ ივაჟკაცა.

ბრაზილიელი რივალდო პირველ სერიულ დუბლთან ახლოს იყო, მაგრამ პენალტი გააფუჭა, მეკარემ აული, გადმოვარდნილ ბურთს ინძაგიმ ფეხი მიარტყა და ანგარიშიც გაიხსნა. თერთმეტმეტრიანი კი პორტუგალიელი რუი კოშტას საჯარიმოში მოცელვას მოჰყვა, ეს მე-18 წუთზე მოხდა და მსაჯმა რეჯინელი მცველი ვარგასიც გააძევა მოედნიდან.

„ასეთი რამ პირველად ვნახე, ბურთი ცოცხალი თავით კარში არ შედიოდა, ხან მათი მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც სტუმრებს ფორტუნა უღიმოდათ" — აცხადებს კლარენს ზეედორფი.

დისკვალიფიცირებული პაოლო მალდინის არყოფნაში „მილანს" ალესანდრო კოსტაკურტამ უკაპიტნა, ხოლო როცა კოსტაკურტა დანიელმა მცველმა მარტინ ლაურსენმა შეცვალა, კაპიტნის სამკლავური ჯენარო გატუზომ მიირგო. ბილი კოსტაკურტა: „კმაყოფილი ვარ, თუმც თავიდანვე ძალიან გამიჭირდა. მადლობას ვუხდი ჩვენს ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს, რომლებმაც ფაქტობრივად მცველებს საქმე არც მოგვცეს და მეტოქე ჩვენამდე არ მოუშვეს."

კვლავ გოლების იმტაზეა ფილიპო ინძაგი. „პიპომ" წლევანდელ სერიაში უკვე მეშვიდე ბურთი გაიტანა და ვიერი-ტოტი-დელ პიეროსთან ერთად ბომბარდირთა კვარტეტი შექმნა: „ახლა ძალიან მიჭირს ფეხბურთზე საუბარი. მოგებას მიწისძვრისგან დაზარალებულებს ვუძღვნით. პენალტის დარტყმა მეც შემეძლო, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, მე და რივალდომ წინადღეს ვარჯიშზე ესეც „დავამუღამეთ", თუ პენალტს ვერ გავიტანდი, დასწრებაზე ის ითამაშებდა და პირიქით. როგორც ხედავთ, ჩანაფიქრმა გაჭრა. რაც შეეხება ბომბარდირობას, თანახმა ვარ, ჩემი ნებისმიერი გოლი სკუდეტოზე გავცვალო."

თავად „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ კმაყოფილია კოსტაკურტასა და ბროკის თამაშით, მალდინის და პირლოს ღირსეული შემცვლელები ჰყავთ. შევჩენკო შეგნებულად არ ვათამაშე, სათამაშო ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს, თანაც მის მინდორზე შეშვებას არც ვითარება ითხოვდაო.

ჩვენებურ კახა კალაძეზე რომ არ ვთქვათ, ისე როგორ იქნება. ქართველმა მცველმა ჩვეულად მარცხენა ფლანგზე ითამაშა და ჟურნალისტებისგანაც 6,5 შეფასება მიიღო. ერთ ეპიზოდში კალაძე ნაღდად გასაძევებელი იყო, როცა თავის ფლანგზე აუტის ხაზთან რეჯინელი ფეხბურთელი უკნიდან „მოჩეხა". მსაჯმა ჩვენებური აშკარად დაინდო და მხოლოდ გააყვითლა. კახამ კი ამის თაობაზე ეს თქვა: „მართალია, უხეშად ვეთამაშე და ნამატჩევს ბოდიშიც მოვუხადე, მაგრამ ფეხბურთი ხომ ბალეტი არ არის და მით უმეტეს, ფიგურული სრიალი."

დაბოლოს შევჩენკოზეც ვთქვათ. მოკლედ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მუდმივად ერთი და იგივეს გამეორებით დაიღალა: — ხალხნო, გაიგეთ, შევჩენკო არ იყიდება!

ეს ყოველივე კი იმას მოჰყვა, რომ თითქოსდა „მილანი" თანახმაა თავისი სუპერვარსკვლავი „მანჩესტერ იუნაიტედში" გაასხვისოს 30 მილიონ ევროდ და სანაცვლოდ ფრანგი მეკარე ფაბიენ ბარტეზი მიიღოს: „არ ვიცი, საიდან მოიტანა გაზეთმა „ტუტოსპორტმა" ეს ჭორი. ყვითელი პრესა ხომ მუდამ ასე მუშაობს. გადაჭრით ვიმეორებ, „მანჩესტერთან" არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია, შევჩენკო ჩვენთან რჩება და მეტიც, ფაბიენ ბარტეზი „მილანს" არ სჭირდება."

**გიორგი ვაშაკიძე**



კახა კალაძეს მატჩის მერე საბოდიშოდ გაუხდა საქმე

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა. XVI ტური

**ავსტრია 4:0 შტურმი**

1:0 აკოტო (30), 2:0 ჰელსტადი (55), 3:0 გილევიჩი (63), 4:0 აკოტო (90)

შტურმი: ვებერი, ნოიკირხნერი, მაელიჩი, შტრასერი, საბიჩი, დ. მუჯირი, ბოისნარი, დაგი, ბრეუნე (კორსომში 71), ვეტლი (მელდინი 71), ჩ. ამოა (მასუდი 62)

მწვრთნელი: ფრანკო ფოდა

კერნტენი — ზალცბურგი 0:1; პაშინგი — რიდი 1:1; ადმირა ვაკერი — ბრეგენცი 2:2; გრაცერი — რაპიდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 16 | 11 | 4 | 1 | 37:9 | 37 |
| პაშინგი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 28 |
| შტურმი | 16 | 8 | 1 | 7 | 25:27 | 25 |
| რიდი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:17 | 21 |
| რაპიდი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:18 | 20 |
| კერნტენი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:23 | 19 |
| გრაცერი | 16 | 4 | 6 | 6 | 18:23 | 18 |
| ბრეგენცი | 16 | 3 | 8 | 5 | 20:23 | 17 |
| ზალცბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:22 | 17 |
| ადმირა | 16 | 3 | 5 | 8 | 14:32 | 14 |

## ნორვეგია
### თასის ფინალი

**ვოლერენგა 1:0 ოდ გრენლანდი**

1:0 ლევერნესი (5)

სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
Zeus ზევსი
Titan ტიტანი მასტერი
Biliardai
Master
Saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

# ქართველებმა დაიწყეს და ვერ დაამთავრეს



REUTERS გლობუს მედიაგროუპი

სელტიკი — აბერდინი. სტუმართა მეკარე დევიდ პრეესი შვიდჯერ ამაოდ გადახტა

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. XIII ტური

**დანდი 0:3 რეინჯერსი**

0:1 მალკოლმი (30), 0:2 ლოვენკრანდსი (60), 0:3 მური (79)

დანდი: სპეროში, მაკი, ხიზანიშვილი, უილკი, ერნანდესი, ბრედი (რობერტსონი 83), სმითი, ნემსაძე (მაირი 69), რაე, ნოვო (სარა 74), კაბალიერო

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

რეინჯერსი: კლოსი, მუნკატი, კ. მური, მალკოლმი, ნუმანი (ბ. როუზი 69), რიკსენი, არტეტა, ბ. ფერგიუსონი (კონტერმანი 74), რ. დე ბური, ლოვენკრანდსი, მოლსი

შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაძევება: ხიზანიშვილი (45)

10 124 მაყურებელი

**სელტიკი 7:0 აბერდინი**

1:0, 2:0 ჰარტსონი (26, 35), 3:0 ლარსონი (43), 4:0 ჰარტსონი (51), 5:0 ბალდე (71), 6:0 ჰარტსონი (81), 7:0 მელოუნი (86)

**ჰიბერნიანი 1:2 ჰარტსი**

1:0 პაატელაინენი (36), 1:1 კ. მაკკენა (86), 1:2 სტამპი (89)

**კილმარნოკი 1:2 დანდი იუნ.**

0:1 ს. ტომპსონი (7), 1:1 ფულტონი (24), 1:2 მაკინტირი (90)

**ლივინგსტონი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 ბრიუსტერი (47), 1:1 ტურე-მამანი (79)

**პარტიკი 2:0 მოზერუელი**

1:0 ჰარდი (30), 2:0 ბარნსი (52)

„დენს პარკზე" „რეინჯერსმა" გვარიანად იმუშავა და ისე გაიმარჯვა. ახლა ის კვლავ ცხრილის თავშია, გატანილ გოლთა გრაფაში სამით მეტი აქვს ჩაწერილი, ხოლო ბობ მალკოლმს, პიტერ ლოვენკრანდსა და კრეიგ მურს პირად ანგარიშზე თითო მიემატათ. აღსანიშნავია, რომ რეინჯერსელთა ზეიმი „დანდის" ძირითად შემადგენლობაში მცველის, ზურაბ ხიზანიშვილის უიღბლო დაბრუნების ფონზე მიმდინარეობდა. ხიზანიშვილი მალკოლმისა და ლოვენკრანდის წარმატებულ დარტყმებს შორის გააძევეს მოედნიდან.

მაგრამ „დანდის" დამარცხების ერთადერთი მიზეზი ხიზანიშვილის გაძევება სულაც არ ყოფილა. ამაზე მთავარი შესაძლოა, ის იყო, რომ მასპინძლებმა ვერა და ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები, ხოლო გლაზგოელებმა პირიქით, საბოლოო დარტყმების სიზუსტით გამოიჩინეს თავი. დავძინოთ, რომ როგორც „რეინჯერსი", ასევე „დანდი" მოედანზე წინა ტურში გამარჯვებული და ფრთაშესხმული გავიდა სათამაშოდ.

ახლა ქართულ ამბებს დავუბრუნდეთ: ხიზანიშვილთან ერთად მოედანზე იყო გიორგი ნემსაძეც, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი 69-ე წუთზე იმიტომ გავიდა, რომ შეცვალეს, ხიზანიშვილს 45-ე წუთზე წითელი ბარათის გამო მოუხდა თამაშის შეწყვეტა.

შოტლანდიის პირველობაზე მომხდარ ამბავთაგან საგანგებოდ აღსანიშნავი კიდევ ის გახლავთ, რომ „სელტიკმა" საბრალო „აბერდინს" შვიდი გოლი გაუტანა და ერთიც არ გაუშვია.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 13 | 11 | 2 | 0 | 41:7 | 35 |
| სელტიკი | 13 | 11 | 1 | 1 | 40:8 | 34 |
| ჰარტსი | 13 | 5 | 5 | 3 | 23:18 | 20 |
| დანფერმლაინი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:26 | 20 |
| ჰიბერნიანი | 13 | 6 | 0 | 7 | 18:21 | 18 |
| დანდი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:18 | 17 |
| აბერდინი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:24 | 15 |
| კილმარნოკი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:27 | 13 |
| ლივინგსტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:21 | 12 |
| პარტიკ თისლი | 13 | 2 | 6 | 5 | 11:19 | 12 |
| დანდი იუნ. | 13 | 2 | 4 | 7 | 11:23 | 10 |
| მოზერუელი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:26 | 9 |

### პირველი დივიზიონი

მე-12 ტური: ალოა — სტ. ჯონსტონი 1:3; კლაიდი — როს ქაუნთი 2:1; ინვერნესი — სტ. მირენი 4:1; ქუინ ოფ საუთ — ფოლკირკი 1:1; არბროთი — ეარი გადაიდო

### მეორე დივიზიონი

მე-12 ტური: ბრეჩინი — სტრენრაერი 3:1; ქოუდენბითი — ერდრი 0:1; დამბარტონი — ბერიკი 1:2; ჰამილტონი — ფორფარი 1:2; სტენჰაუზმური — რეით როვერსი 0:1

### მესამე დივიზიონი

მე-12 ტური: ისტ ფაიფი — ალბიონი 0:4; ელგინი — მონტროუზი 0:0; გრეტნა — ქუინზ პარკი 2:2; მორტონი — ისტ სტირლინგი 4:1; სტირლინგი — პიტერჰედი 1:0

# სიომინის ჩემპიონთა ლიგა ვლადიკავკაზშია

## რუსეთი
### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**ტორპედო ზილ 0:2 კრილია**

0:1 გაუშუ (25), 0:2 კარიაკა (90)

**ურალანი 0:1 ტორპედო**

0:1 შირკო (24)

ურალანი: ოვრომიძე, კოლოდინი, ბოკოვი, ჩუგაინოვი, თოდუა, გერაშჩენკო, კუზმინი, რ. ავჯინჯალი, კაზაკოვი, ოსპეშინსკი, წიკლაური

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

ტორპედო: ვორობიოვი, მალაი, მახმუტოვი, ბუდილინი, კორმილცევი, სემშოვი, ლებედენკო, იოლოვიჩი, შირკო, ლუხვიჩი, ბ. ავჯინჯალი

გაფრთხილება: თოდუა (23)

გაძევება: თოდუა (90)

**ალანია 0:1 ცსკა**

0:1 სოლომატინი (10)

ალანია: გაბულოვი, აგაევი, პაგაევი, სვიდერსკი, ტარლოვსკი, თეთრაძე, ბითაროვი (ბესტაევი 83), გ. ბაზაევი, ჩერევჩენკო, აშვეთია, დემეტრაძე

გაფრთხილება: დემეტრაძე (28)

**სოკოლი 0:3 ლოკომოტივი**

0:1 ევსეევი (45), 0:2 ლეკეტო (64), 0:3 ევსეევი (67)

**ზენიტი 0:2 როსტსელმაში**

0:1 კარპოვიჩი (13), 0:2 აკოპიანცი (32)

**დინამო 0:1 შინიკი**

0:1 კრინოვი (22)

**სატურნი 2:1 როტორი**

0:1 ალდონინი (9), 1:1, 2:1 პრინს-ამოაკო (19, 79)

მიჯრით მეხუთე მატჩი მოიგო ცსკა-მ. ვლადიკავკაზში გამარჯვებით არმიელებმა ლიდერობა შეინარჩუნეს. ლიანდაგიდან არც „ლოკომოტივი" გადასულა. სარატოვში მისავათებული „სოკოლი" სამი გოლით შეამკო და სამხედროებს ისევ ქუსლზე დააბიჯა.

თუ „ლოკოს" სტუმრად სამი ქულის მითვლა არ გასჭირვებია, ცსკა „ალანიამ" გვარიანად გააწამა. არა და, ეჭვობდნენ იმაზე, რომ მასპინძლები ვალერი გაზაევის ხათრით მეტოქეს „დაუწვებოდნენ", მაგრამ ოსური გუნდის პრეზიდენტმა სერგეი ტაკოევმა მატჩის „გაყიდვის" ყველანაირ ვერსიას მონაჩმახი უწოდა.

„ალანიას" კარში გოლი მალევე გავიდა. სოლომატინის დარტყმულს გაბულოვმა ვერაფერი მოუხერხა. სწრაფმა გოლმა მოედანზე ვითარება უფრო დაძაბა. მოპოვებული უპირატესობის გასამყარებლად მოსკოველები უკანმოუხედავად შეტევას ველარ ბედავდნენ, რადგან სამი ქულა სასწორზე იდო. დამხვდურებმა კი პირიქით, გაილაღეს და გულიანად შეუტიეს. ისეთი ჯაჯგური გაჩაღდა მოედანზე, რომ ეპიზოდებში ფეხბურთელებს შორის ჩხუბის ატეხვას არაფერი უკლდა.

შეხვედრის არბიტრმა იური ჩებოტარიოვმა ასე თუ ისე ცეცხლის განელება შეძლო, თუმც ნამატჩევს მეტოქეები ჯგროდ მაინც შეიყარნენ. ყოფილმა ალანიელმა სპარტაკ გოგნიევმა ძველი თანაგუნდელებისკენ გაიწია.

ჩებოტარიოვი თავის ორიგინალობითაა ცნობილი. ერთხელ ტაშკენტში გულშემატკივარმა მას ვაშლი ესროლა, მსაჯმა ვაშლი აიღო, ჩაკბიჩა და მოედნიდან მოისროლა.

მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში სტუმართა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. ბურთთან დემეტრაძე მივიდა, მაგრამ დარტყმის ნაცვლად მსაჯს აუხირდა, „კედელი" ცხრა მეტრზე ჩაწიეო. ამ შემთხვევაში სასტვენიანს ორიგინალობა არ დაუწყია, ქართველს ყვითელი ბარათით გაუმასპინძლდა გახელებულმა დემეტრაძემ კი პირდაპირ „ცოცხალ კედელს" დააჭედა ბურთი.

„ალანიამ" ქულის აღლეტა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, მისმა მდევრებმაც წაიფორხილეს. „ტორპედო-ზილმა" „კრილია სოვეტოვთან" წააგო, „სოკოლმა" კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ლოკომოტივთან".

ასევე შინ დამარცხდა რევაზ ძოძუაშვილის „ურალანი" მოსკოვის „ტორპედოსთან". „ტორპედომ" წაუგებელი სერია ათამდე გაზარდა, 8 მოგებით და 2 ფრით. პირველი ტაიმის შუაწელში ზურაბ წიკლაურს შეეძლო, შირკოს გოლი თერთმეტმეტრიანით გაექვითა, თუმცა ვორობიოვმა მისი დარტყმული მოიგერია.

„ალანია" — „ლოკომოტივის" გადადებული მატჩი ხვალ, 6 ნოემბერს გაიმართება და იური სიომინის თქმით, ვლადიკავკაზში მოგება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლა.

მომდევნო ტურში მოსკოვური დერბია, „სპარტაკი" — ცსკა. „ლოკომოტივი" კი „ზენიტს" უმასპინძლებს და ალბათ, ამ ორ შეხვედრაში გაიფანტება ნისლი რუსთა ჩემპიონატის თავზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 19 | 3 | 6 | 55:25 | 60 |
| ლოკომოტივი | 27 | 17 | 8 | 2 | 41:11 | 59 |
| სპარტაკი | 28 | 16 | 7 | 5 | 48:33 | 55 |
| ტორპედო | 28 | 13 | 7 | 8 | 45:31 | 46 |
| სატურნი | 28 | 13 | 7 | 8 | 40:33 | 46 |
| კრილია | 28 | 14 | 3 | 11 | 37:31 | 45 |
| დინამო | 28 | 12 | 5 | 11 | 37:31 | 41 |
| შინიკი | 28 | 11 | 8 | 9 | 37:36 | 41 |
| ზენიტი | 28 | 8 | 9 | 11 | 34:38 | 33 |
| როტორი | 28 | 9 | 5 | 14 | 24:34 | 32 |
| როსტსელმაში | 28 | 7 | 9 | 12 | 28:46 | 30 |
| ურალანი | 28 | 6 | 11 | 11 | 32:39 | 29 |
| ალანია | 27 | 7 | 5 | 15 | 29:40 | 26 |
| სოკოლი | 28 | 5 | 7 | 16 | 22:41 | 22 |
| ანჟი | 27 | 4 | 10 | 13 | 21:41 | 22 |
| ზილ | 27 | 4 | 10 | 13 | 17:37 | 22 |

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. VIII ტური

# დენიოს გზა

### რასინგი 1:1 ბარსელონა

1:0 გერერო (1), 1:1 ნავარო (84)
რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, ისმაელი, მორანი (ბენაიუნი 64), პინედა, ხ. გერერო (დიეგო ალონსო 75), მუნიტისი, რეგეირო (ჩიკი 86)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ფ. დე ბური, ფ. ნავარო, ხავი, კოკუ (რომერიკი 74), მენდიეტა (ჯერარდი 46), გაბრი, რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა (ოვერმარსი 61)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ხუანმა, ისმაელი, დე ბური, კოკუ, ნაფტი, მუნიტისი
მსაჯი: პერეს ლასა
19 675 მაყურებელი

### ალავესი 1:0 სევილია

1:0 რუბენ ნავარო (90)
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ჯელი, ლორენსი (მაგნო 59), აბელარდო, პაბლო, ასტუდილიო, ტურიელი, კრუიფი, ივან ალონსო (რუბენ ნავარო 73)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ფრედი, ხ. რედონდო (გალიარდო 69), მაკოს ვალესი, ალფონსო, სემესი, რეიესი (ვ. სალასი 60), ანტონიტო (მოისესი 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: სემესი, პაბლო, ფრედი, იბონ ბეგონია, ტურიელი
მსაჯი: კარმონა მენდესი
13 800 მაყურებელი

### ბეტისი 3:0 მალაგა

1:0 არზუ (49), 2:0, 3:0 ფერნანდო (57, 76პ)
ბეტისი: პრატსი, მინგო (მელი 72), ხუანიტო, რივასი, ფერნანდო, კაპი, იტო, არზუ, დენილსონი (ჟოაუ ტომასი 80), ხოაკინი, კასასი (ასუნსაო 65)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მალაგა: კონტრერასი, ლიტოსი, ისნატა (მუსამპა 57), ვალკარსე, ფ. სანსი, ხოსემი, რომერო, მანუ, მიგელ ანხელი (სანდრო 68), ლეკო (დელი ვალდესი 57), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პერეს ლუკასი
გაფრთხილება: ხოსემი, სანსი, იტო, რომერო, ფერნანდო, სანდრო
მსაჯი: პერეს პერესი
39 945 მაყურებელი

### ბილბაო 2:1 სელტა

0:1 ედუ (33), 1:1 ეჩებერია (80), 2:1 ურსაისი (90)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ოსკარ ვაესი (ალკისა 64), ლაკრუსი, მურილიო, იესტე (ურსაისი 46), ხავი გონსალესი, ტიკო (არიაგა 77), გურპეგი, ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, დერიზო, მენდესი, ჯოვანელა (დორივა 71), ხოსე იგნასიო, ედუ (ხუანფრანი 61), ლუქსენი, კატანია, ხესული (კუდეტი 86)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მურილიო, ბერიზო, ლარასაბალი, დორივა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
36 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:1 ვალენსია

0:1 აურელიო (74)
ესპანიოლი: არგესო, დ. გარსია, სოლდევილა, ნავასი, დომორო, ველამასანი (დე ლა პენია 55), მორალესი (ლუკე 80), რობერი, მაქსი, მილოშევიჩი (ტამუდო 55), მარტინ პოსე
მწვრთნელი: რამონ მოია
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ფ. აურელიო, აიალა, კურრო ტორესი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე, აიმარი (მისტა 78), კარეუ (ანგულო 82), ვისენტე (კილი გონსალესი 66)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: პელეგრინო
მსაჯი: ესკინას ტორესი
35 300 მაყურებელი

### ვილიარეალი 0:1 სოსიედადი

0:1 ნიჰათი (36)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კოკე ალვარესი (გიარე 60), ბალესტეროსი, ინაი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (არანდა 62), სენა, პალერმო, ვიქტორი (კალეხა 83)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (არანბურუ 89), ხოხლოვი (ტაიფური 62), კარპინი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: სენა, ხაბი ალონსო, არანდა
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
18 000 მაყურებელი

### ოსასუნა 0:1 უელვა

0:1 კუბილიო (85პ)
ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუჩაგა, ვიდრიო, რივერო (მოა 46), ანტონიო ლოპესი, პუნიალი (გორკა 86), პაბლო გარსია (ალფრედო 58), განსედო, ივან როსადო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
უელვა: სეზარი, ესპინოლა, გალანი, ხავი გარსია, იაგო, არპონი (ბერმეხო 66), კუბილიო (იკერ ბეგონია 88), ბენიტესი, ლორენი, კამაჩო, რაულ მოლინა (ხისკო 53)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ხავი გარსია, პაბლო გარსია, კუბილიო, იაგო, მოა, ივან როსადო, ხისკო, ვიდრიო, კრუჩაგა
მსაჯი: მეია დავილა
14 904 მაყურებელი

### დეპორტივო 0:0 რეალი

დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, კაპდევილა (ლუკე 82), მაურო სილვა, ფრანი (აკუნია 70), სკალონი, სერხიო, მაკაი, ვიქტორი (დუშერი 89)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, კამბიასო, სოლარი (გუტი 89), ზიდანი, რონალდო (მორიენტესი 59), ფიგუ (მინამბრესი 59)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ფრანი, რონალდო, ვიქტორი, მაკელელე
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
34 600 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:0 რაიო ვალეკანო

1:0 გარსია კალვო (5), 2:0 ტორესი (55პ)
ატლეტიკო: ბურგოსი, კონტრა, კარერასი (მონიჩი 57), სანტი, გარსია კალვო (ხორხე 46), ალბერტინი (მოვილია 75), ემერსონი, კორეა, ლუის გარსია, ფ. ტორესი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, კორინო (მერაგონი 55), გრაფი, მორა (დორადო 40), ონოპკო, მარიო (კამუნიასი 63), მაინსი, კვედო, ტალი, ხულიო ალვარესი, ბოლო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: გრაფი, ონოპკო, კარერასი, გრაფი, კორეა, დორადო, კვედო, კამუნიასი, ემერსონი
გაძევება: გრაფი (34)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
54 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:3 მალიორკა

1:0 ოლაიზოლა (25ს.კ.), 1:1, 1:2, 1:3 პანდიანი (26, 56, 69)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, სანტამარია, ტორეს გომესი, ოსკარ სანჩესი (ჩემა 75), კოლსა, რიკეტი (ხესუსი 60), კამინერო, ფერნანდო სალესი, აგანსო (პაჩონი 71), ოლივერა
მწვრთნელი: პეპე მორე
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ოლაიზოლა, პოლი, ნადალი, იბაგასა (მარკოსი 77), ნოვო (კამპანო 67), რიერა (მიგელ სოლერი (72), აროლდ ლოზანო, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: იბაგასა, ეტოო, ნადალი
მსაჯი: პინო სამორანო
11 000 მაყურებელი



ბეტისი — მალაგა. სტუმარმა ვისენტე ვალკარსემ (წინ) და მასპინძელმა ხოაკინმა ერთმანეთი არ დაინდეს

ᲗᲣ ამ ტურის რაიმე ნიშნით გამორჩევას მოვინდომებთ, შეგვიძლია ასე ვთქვათ: მთავარი ამბები ბოლო წუთებზე მოხდა. ფეხბურთში კი მთავარი ამბავი, მოგეხსენებათ, გოლია. ჰოდა, ოთხი შეხვედრის ბედი სწორედ ბოლოსკენ გადაწყდა.

90 წუთს გვარიანად გადაცილებული იყო, როცა ალავესელმა რუბენ ნავარომ ნახტომში დაჰკრა ბურთს, ანგარიში გახსნა და თამაშიც მაშინვე დამთავრდა. წამატებულ დროში გატანილი გოლისას ვამბობთ, გუნდს ბედი ჰქონიაო, თუმც „ალავესი" თამაშითაც იმსახურებდა სევილიელთა ძლევას. მეტსაც უტევდა და ხესუს ანხელ ტურიელმა ერთხელ ძელსაც გაარტყა. ამ გამარჯვებით ბასკთა დედაქალაქის გუნდი გასავარდნთა ზონას ასცდა.

ბოლო წუთი იღბლიანი გამოდგა ყველაზე ბასკური გუნდისთვის, „ბილბაოსთვისაც". შვიდი ტური ისე გაილია, „სან მამესზე" მასპინძლებს თამაში არ მოუგიათ და ქომაგი ახლაც ყურებჩამოყრილი იჯდა კარგა ხანს.

თავიდან „სელტა" დაწინაურდა, რომელიც ერთხანს ლიდერობდა კიდეც ჩემპიონატს და ბოლოსკენ ცოტათი დაქვეითდა. ედუმ საჯარიმოს გარედან დასცხო და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ვიგოელებს მოსაგებად ეს ერთი გოლიც ეყოფოდათ, რაკი ბასკებს შეტევაში არაფერი გამოდიოდათ. ხოლო, როცა გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა გასასვლელისკენ ყურება დაიწყო, მეორემ კი სტვენას უმატა, ხოსება ეჩებერიამ და ისმაელ ურსაისმა, „ბილბაოს" ორმა მთავარმა ფეხბურთელმა, ორი გოლი გაიტანეს და თავადვე გაოცდნენ. ამ გამარჯვებამ ოდნავ შეარბილა იუპ ჰაინკესის თავს დატეხილი რისხვა.

თუ ბილბაოელები აქამდე შინ ვერ იგებდნენ, დივიზიონის ახალწვეული „უელვა" გამარჯვებას ვერსად აზერხებდა. „ოსასუნასთან" მატჩიც ისე ილეოდა, უელველები მესამე ფრეს უნდა გამორჩენოდნენ. ამ დროს კი, 85-ე წუთზე, პამპლონელმა დიეგო მატეომ საპენალტოდ წააქცია იგნასიო ბენიტესი, დარტყმა დავიდ კუბილიომ ითავა, თავისიანებს გაამარჯვებინა, თუმც „უელვა" ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდა.

„ბარსელონა" უკვე მეორე წუთზე აგებდა სანტანდერში. ფილიპ კოკუმ თავისი საჯარიმოდან ბურთი მოიგერია, მაგრამ ფერნანდო მორანს გაარტყა, ვისგანაც უკან მიბრუნდა, ხავი გერეროს თავზე დაავჯდა და ამანაც „რასინგი" დააწინაურა. ეს ის „რასინგია", წინა ტურებში „რეალი" და „დეპორტივო" რომ დაამარცხა.

კატალონიელებმა წაგების ალბათობა, ცხადია, ვერ იგუეს და იქით შეუტიეს. ხეირიანი მომენტები ჰქონდათ პატრიკ კლუივერტსა და ხუან რიკელმეს. საპასუხო გოლი კი თამაშის მიწურულსღა გავიდა — რიკელმემ საჯარიმო დარტყმით ბურთი კარის სიახლოვეს ჩაჰკიდა, სადაც მცველი ფერნანდო ნავარო იყო ჩასაფრებული, ვინაც „ბარსელონას" ქულა გადაურჩინა.

„ბარსა" კვლავაც რჩება მერვე ადგილზე და რვა ქულითაც ჩამორჩება ლიდერ „რეალ სოსიედადს". ჩვენ კი რამდენიც უნდა ვიკვირვოთ სანსებასტიანელთა პირველი ადგილი, გუნდი იგებს და რა გინდა თქვა.

ბასკებმა თურქი ნიჰათ კაჰვეჩის კონკილა გოლით მოიგეს ვილიარეალში. „სოსიედადის" ფრანგმა დამრიგებელმა რეინალდ დენიომ თქვა: „სწორ გზას ვადგავართ. მეტოქეს მჭიდრო პრესინგი შევთავაზეთ, რაც იოლი შესასრულებელი არ ყოფილა, რაკი „ვილიარეალი" ძალიან კარგი გუნდია."

ვალტერ პანდიანის ჰეთ თრიქმა კი ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოუტანა „მალიორკას", არადა, სამი ტურის შემდეგ კუნძულელებს ერთი ქულაც არ ჰქონდათ. მეხუთე მატჩის მერე ისინი ლიდერთა მარაქაში გარია. დავძინოთ, რომ თავიდან „მალიორკა" აგებდა — ხავიერ ოლაისოლა „ვალიადოლიდს" ავტოგოლით შეეწია.

„ვალენსიამ" „ესპანიოლი" დაამარცხა და კვლავაც სამი ქულით ჩამორჩება ლიდერს. ისე, ბარსელონელები კომფორტულად გრძნობდნენ თავს მოქმედ ჩემპიონთან შერკინებაში, რადგან „ვალენსია" შეტევაში მაინცდამაინც ვერ აქტიურობდა. ერთი ეგ იყო, მეორე ტაიმის დასაწყისში კარეუმ ძელს გაარტყა. და მაინც, „ვალენსიამ", როგორც სჩვევია, იშვიათ მომენტთაგან ერთი გამოიყენა — ფაბიო აურელიომ საჯარიმოთი გაიტანა.

ლა კორუნიაში წვიმს, მგონი, „ბაიერნის" სტუმრობის მერე არც გადაუღია. იქ ჩასული „რეალი" უკეთ კი გამოიყურებოდა, ვიდრე წინა შვიდ შეხვედრაში, რომელთაგან ოდენ ერთი მოიგო, მაგრამ მომენტები უფრო „დეპორტივოს" ჰქონდა. ვიქტორის საჯარიმო დარტყმა ძელმა მოიგერია, როი მაკაიმ სულ ოდნავ ააცილა, უკანასკნელ წამებზე კი მადრიდელ რობერტო კარლოსს ხუანმიმ აუღო უძლიერესი დარტყმა. თამაშიც ფრედ დამთავრდა. „რეალიც" და „დეპორტივოც" ცხრილში ძალიან ქვევით არიან.

**გიორგი დარჯანია**



ხოსება ეჩებერიამ ისმაელ ურსაისის დამთავრებული საქმე დაიწყო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 8 | 6 | 2 | 0 | 20:12 | 8 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:7 | 4 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 10 |
| 2 ვალენსია | 8 | 5 | 2 | 1 | 17:5 | 12 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 3 სელტა | 8 | 4 | 3 | 1 | 10:4 | 6 | 15 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 10 |
| 4 მალიორკა | 8 | 5 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 15 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 |
| 5 ბეტისი | 8 | 3 | 4 | 1 | 16:9 | 7 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 9:7 | 2 | 6 |
| 6 რეალი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:8 | 6 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 7 დეპორტივო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | -1 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 1 | 9 |
| 8 ბარსელონა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 12:5 | 7 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 9 მალაგა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:16 | 0 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:8 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 5 |
| 10 ატლეტიკო | 8 | 2 | 5 | 1 | 12:8 | 4 | 11 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 5 |
| 11 რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 12 ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 |
| 13 რაიო | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 3 |
| 14 ალავესი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:18 | -8 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:13 | -7 | 4 |
| 15 ვილიარეალი | 8 | 1 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 16 სევილია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 2 |
| 17 ესპანიოლი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | -5 | 3 |
| 18 ბილბაო | 8 | 1 | 3 | 4 | 7:16 | -9 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | -4 | 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:11 | -5 | 4 |
| 19 ოსასუნა | 8 | 1 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 2 |
| 20 უელვა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 |

### IX ტური

10 ნოემბერი

ატლეტიკო — ბილბაო
სელტა — ესპანიოლი
ვალენსია — ბეტისი
მალაგა — ოსასუნა
უელვა — ვალიადოლიდი
მალიორკა — ალავესი
სევილია — რასინგი
ბარსელონა — ვილიარეალი
სოსიედადი — დეპორტივო
რაიო ვალეკანო — რეალი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 7 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 6 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 6 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 6 |

## სეგუნდადივიზიონი

IX ტური

### ტერასა 2:1 კომპოსტელა

0:1 სეკერონსი (2), 1:1 კაკო (13), 2:1 მონტე (60)

### ხერესი 2:1 ლევანტე

1:0 კალე (35), 1:1 ფელიქსი (45), 2:1 კალე (72)

### ეიბარი 2:1 ოვიედო

0:1 ფრანი (33), 1:1 ხავი სანჩესი (38), 2:1 ალექსი (44)

### ალბასეტე 1:1 პოლი ეხიდო

1:0 პენია (12), 1:1 პრატსი (47)

### ბადახოსი 1:0 ფეროლი

1:0 მოლისტი (1)

### ლას პალმასი 0:1 სარაგოსა

0:1 იორდი (65)

### ელჩე 0:2 მურსია

0:1 ტიტო (55პ), 0:2 ლორეტო (71)

### ლეგანესი 0:2 სალამანკა

0:1 რობერტო (25), 0:2 ვეჩო (72)

### ნუმანსია 1:0 ტენერიფე

1:0 კუელიარი (38)

### სპორტინგი 0:0 კორდობა

### ალმერია 1:1 ხეტაფე

1:0 ხუანლუ (35), 1:1 ტენა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:8 | 19 |
| მურსია | 9 | 5 | 2 | 2 | 11:4 | 17 |
| ტერასა | 9 | 4 | 5 | 0 | 11:6 | 17 |
| ლევანტე | 9 | 4 | 4 | 1 | 20:12 | 16 |
| სარაგოსა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| ეხიდო | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| ბადახოსი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:10 | 14 |
| ლას პალმასი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| ალბასეტე | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ეიბარი | 9 | 3 | 3 | 3 | 6:7 | 12 |
| ელჩე | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| ტენერიფე | 9 | 2 | 5 | 2 | 11:10 | 11 |
| ხეტაფე | 9 | 3 | 2 | 4 | 14:15 | 11 |
| სალამანკა | 9 | 3 | 2 | 4 | 6:7 | 11 |
| ფეროლი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:11 | 10 |
| ნუმანსია | 9 | 3 | 1 | 5 | 9:12 | 10 |
| ლეგანესი | 9 | 1 | 5 | 3 | 7:10 | 8 |
| ალმერია | 9 | 1 | 5 | 3 | 9:15 | 8 |
| კომპოსტელა | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | 7 |
| კორდობა | 9 | 1 | 4 | 4 | 5:9 | 7 |
| სპორტინგი | 8 | 0 | 6 | 2 | 2:4 | 6 |
| ოვიედო | 9 | 1 | 2 | 6 | 9:16 | 5 |

# აბარდონადო არ ჩაიჭრა



REUTERS ლიონიდან

ლიონი — ნიცა. ერიკ კარიერმა ნიცელ მეკარეს სედრიკ ვაროს დაასწრო

შე. მერე მასპინძლებს ფაბიო სელესტინი გაუძვევს, მაგრამ კაცნაკლულ „მარსელს" მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია. მეორე გოლი სტუმარი ფრენკ სილვესტრის ნამუსზეა. დანიელ ვან ბუიტენის თავურ დარტყმას უშნოდ გადაელობა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მეოთხე წუთზევე წითელ ბარათს გაჰყვა „მონაკოს" მეკარე ფლავიო რომა. მან საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. უმცირესობაში დარჩენილმა მასპინძლებმა ლუდოვიკ ჟიულის გოლით გაიხარეს, მაგრამ ფლორენ სინამა-პონოლემ დამხვდურებს მეორე ტაიმში გაუქვითა და ქულა აფცქვნა.

აგერ უკვე მეცამეტე ტური გასრულდა, „ტრუამ" კი ერთ მოგებას ვერაფერი შემატა. გენგამელი დიდიე დროგბას გოლს ელუამ მეორეც დაურთო და „ტრუა" ბოლო ადგილზე საფუძვლიანად დაწვება.

ვაჟა ხუციშვილი

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XIII ტური

**სედანი 3:1 პსჟ**

1:0 ნორო (8), 1:1 დეუ (33), 2:1, 3:1 ასუარი (50, 67)

**ნანტი 0:0 ბორდო**

**ლიონი 2:2 ნიცა**

0:1 ჯ. დიავარა (40), 1:1 ს. ანდერსონი (49), 2:1 დელმოტი (67), 2:2 აბარდონადო (90)

**ლანსი 3:1 ოსერი**

0:1 ფეიე (5), 1:1 რ. სონგი (37), 2:1 სიბიერსკი (45), 3:1 ე. სიკორა (90)

**ბასტია 1:0 ლილი**

1:0 ლასლანდი (23)

**მარსელი 2:0 მონპელიე**

1:0 ბაკაიოკო (31), 2:0 ფ. სილვესტრი (60ს.კ.)

**მონაკო 1:1 ლე ავრი**

1:0 ჟიული (30), 1:1 სინამა-პონგოლე (58)

**რენი 0:0 აიაჩო**

**სოშო 2:0 სტრასბური**

1:0 სანტოსი (6), 2:0 ისმაელი (47ს.კ.)

**ტრუა 0:2 გენგამი**

0:1 დროგბა (29), 0:2 ელუა (58)

„ლიონს" „აიაქსთან" მარცხის შემდეგ შავი ზოლი ჩემპიონატშიც გადაჰყვა. ჩემპიონს მხოლოდ რამდენიმე წუთი დააკლდა კერკეტი „ნიცას" გასატეხად.

„ნიცამ" გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. მაშინ გაუთანაბრა მასპინძლებს, როცა „ლიონმა" ცხრილში პირველი ადგილი სათავისოდ დაიგულა. ჟაკ აბარდონადომ მსაჯის მიერ წამატებულ დროში მცველთა ჩათვლემით ისარგებლა და თავისი გუნდი მესამე მარცხისგან იხსნა.

სტუმრები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ. კაბა დიავარამ გრეგორი კუპეს ბურთი თავზე გადაავლო. საპასუხოდ პოლ ლე გუენმა შეტევის გაძლიერება სცადა და შესვენების შემდეგ ტონი ვერელი ჩართო თამაშში. ვერელის აქტიურობამ სონი ანდერსონიც გაალაღა. ბრაზილიელმა ერთი გაქვითა, ოციოდ წუთში კი კრისტოფ დელმოტმა ძელისგან ასხლეტილს ზუსტად დაამატა. მაგრამ ჩემპიონს გამარჯვება მაინც არ ეწერა, აბარდონადომ მეტოქეს სიხარული ჩაუმწარა.

ლიდერმა „ოსერმა" კარგად კი დაიწყო ლანსში, მაგრამ ცუდად დაამთავრა. ამდი ფაიემ მეხუთე წუთზე გათამაშებული კუთხური გოლად აქცია, თუმც სტუმრებმა მეტი ვერ შეძლეს. ამის შემდეგ გოლები მხოლოდ „ოსერის" კარში გადიოდა. 23 მატჩია, „ლანსს" შინ არ წაუგია, არც ამჯერად აპირებდა სერიის შეწყვეტას. პირველი ნახევრის ბოლოს რიგობერტ სონგმა არეულობით ისარგებლა და გაათანაბრა. იქვე ანტუან სიბიერსკიმ მეკარის პირდაღებულობა შეირგო და შორეული დაკრულით მეორე შეაგდო. გირუმ თავისი ჯილა, ჯერაც ტრავმამოუშუშებული ჯიბრილ სისე დაახმარა გუნდს, მაგრამ „ლანსმა" მაინც იმარჯვა. მომხვდურებს მატჩის მიღეულს ლიონელ მატისი გაუძვევს, ხოლო ერიკ სიკორამ მესამე გაიტანა და საქმე მოათავა.

„სედანმა" დედაქალაქური პსჟ ცხვირჩამომდნარი გაისტუმრა. სტეფან ნოროს ადრეულ გოლს ფრედერიკ დეუმ ნახევარ საათში უპასუხა. ტაიმიც ასე დასრულდა, მაგრამ მასპინძელთაგან ლუდოვიკ ასუარი ფრესთან შეგუებას არ აპირებდა. მან დუბლი შეასრულა და „სედანი" ფსკერიდან გვარიანად ამოწია.

ლუის ფერნანდესი, პსჟ-ს მწვრთნელი: „საშინლად ვითამაშეთ, ჩემპიონობა თუ გვსურს, ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ." პსჟ-ს მეკარე ლიონელ ლეტიზიმ კი მეტოქე შეაქო: „სედანმა" აშკარად გვაჯობა, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, ამიტომ შედეგი სავსებით ლოგიკურია."

„მონპელიე" ისევ უმწვერთნელოდაა. უთავოდ დარჩენილი გუნდი კი უფრო უსახურად თამაშობს, ვიდრე ძველი მწვრთნელით. მარსელში იბრაჰიმ ბაკაიოკომ ნახევარ საათში გახსნა ანგარი-

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:13 | 24 |
| პსჟ | 13 | 6 | 5 | 2 | 22:11 | 23 |
| ნიცა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | 23 |
| მარსელი | 13 | 7 | 2 | 4 | 16:15 | 23 |
| ლიონი | 13 | 6 | 4 | 3 | 25:15 | 22 |
| სოშო | 13 | 6 | 4 | 3 | 16:10 | 22 |
| ლანსი | 13 | 5 | 6 | 2 | 13:8 | 21 |
| მონაკო | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 20 |
| სტრასბური | 13 | 5 | 4 | 4 | 17:21 | 19 |
| გენგამი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:18 | 18 |
| ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 13:12 | 17 |
| ლილი | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| ბასტია | 13 | 5 | 2 | 6 | 14:17 | 17 |
| სედანი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:20 | 16 |
| აიაჩო | 13 | 3 | 5 | 5 | 9:13 | 14 |
| ნანტი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | 13 |
| ლე ავრი | 13 | 2 | 6 | 5 | 10:18 | 12 |
| მონპელიე | 13 | 2 | 4 | 7 | 9:17 | 10 |
| რენი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:18 | 9 |
| ტრუა | 13 | 1 | 5 | 7 | 8:18 | 8 |

### II დივიზიონი

30-14 ტური: ამიენი — რეიმსი 0:1; ბოვე — ვალკეალი 0:0; კაენი — ლე მანი 1:1; შატორუ — ლორიანი 3:1; კლერმონი — გენიონი 0:0; კრეტეი — ნიორი 0:0; გრენობლი — ისტრი 5:0; ლავალი — ტულუზი 1:1; ნანსი — მეცი 1:2; ვალანსი — სენტ ეტიენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 14 | 9 | 3 | 2 | 23:12 | 30 |
| შატორუ | 14 | 8 | 2 | 4 | 17:14 | 26 |
| ტულუზი | 14 | 7 | 3 | 4 | 17:9 | 24 |
| ლორიანი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:16 | 22 |
| ბოვე | 14 | 6 | 3 | 5 | 10:7 | 21 |
| მეცი | 14 | 6 | 3 | 5 | 14:15 | 21 |
| კრეტეი | 14 | 4 | 8 | 2 | 19:13 | 20 |
| გრენობლი | 14 | 4 | 7 | 3 | 18:11 | 19 |
| კაენი | 14 | 4 | 7 | 3 | 17:14 | 19 |
| ლავალი | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| ამიენი | 14 | 5 | 3 | 6 | 11:11 | 18 |
| ვალკეალი | 14 | 4 | 6 | 4 | 11:11 | 18 |
| სენტ ეტიენი | 14 | 4 | 5 | 5 | 11:12 | 17 |
| ვალანსი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:17 | 17 |
| ნიორი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:11 | 16 |
| რეიმსი | 14 | 3 | 7 | 4 | 10:12 | 16 |
| კლერმონი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:18 | 16 |
| გენიონი | 14 | 3 | 4 | 7 | 10:18 | 13 |
| ისტრი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:28 | 13 |
| ნანსი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:21 | 12 |

## ბელგია

### I დივიზიონი. XI ტური

**მონსი 1:2 ბრიუგე**

0:1 დე კოკი (48), 1:1 როჭელი (78), 1:2 დელეპორტი (90ს.კ.)

**გენტი 3:1 ლომელი**

1:0 კაკლამანოსი (11), 1:1 შუფსი (40), 2:1, 3:1 კაკლამანოსი (57, 64)

**შარლერუა 2:2 სენტ ტრუიდენი**

1:0 ალიაი (17), 2:0 კარგბო (65), 2:1 ვანგეელი (71), 2:2 ბოფენი (85პ)

**მუსკრონი 1:1 ლოკერენი**

1:0 მარჩინ ჟევლაკოვი (5), 1:1 დე ბიული (14)

**სტანდარდი 1:0 ლუვიე**

1:0 პ. მორეირა (85)

**ანტვერპენი 5:3 ბევერსხოტი**

0:1, 0:2 კუამსი (9, 24), 0:3 კპაკა (26), 1:3 გოოსენსი (27), 2:3 პინჩენი (38), 3:3, 4:3 მუკა (58, 61), 5:3 იატარა (64)

**მეხელენი 0:2 ბევერენი**

0:1 ვოსტონი (42), 0:2 გ. ტურე (44)

**გენკი 1:1 ვესტერლო**

1:0 სონკი (2), 1:1 ვაგენმაკერსი (35)

**ანდერლეხტი — ლიერსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 10 | 9 | 1 | 0 | 26:8 | 28 |
| ლოკერენი | 11 | 7 | 3 | 1 | 24:15 | 24 |
| ლიერსი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:7 | 23 |
| გენკი | 11 | 6 | 4 | 1 | 27:14 | 22 |
| ანდერლეხტი | 9 | 6 | 2 | 1 | 23:11 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 10 | 5 | 3 | 2 | 28:16 | 18 |
| მუსკრონი | 10 | 4 | 3 | 3 | 24:22 | 15 |
| ანტვერპენი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:20 | 15 |
| ბევერსხოტი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:24 | 14 |
| ლუვიე | 11 | 3 | 4 | 4 | 12:11 | 13 |
| მონსი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:16 | 13 |
| გენტი | 11 | 3 | 2 | 6 | 18:22 | 11 |
| ლომელი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| ბევერენი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:21 | 10 |
| სტანდარდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| მეხელენი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:24 | 9 |
| ვესტერლო | 11 | 2 | 1 | 8 | 7:24 | 7 |
| შარლერუა | 11 | 0 | 4 | 7 | 12:27 | 4 |

### II დივიზიონი

30-12 ტური: დეხელი — დაინცე 0:1; ეუპენი — ჰეუსდენი 0:0; გეელი — ლიეჟი 1:1; ინგელმუნსტერი — სტრომბეკი ; რონსი — ჰამე 1:1; ვარეგემი — რუზელარე 3:2; დენდერლეუ — ვირტონი 3:0; სერკლი — პატრო 2:0; ტინენი — ვიზეტი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰეუსდენი | 12 | 6 | 5 | 1 | 25:14 | 23 |
| სერკლი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:15 | 22 |
| დაინცე | 12 | 7 | 1 | 4 | 17:16 | 22 |
| ვარეგემი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:13 | 20 |
| ვირტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 21:13 | 17 |
| ეუპენი | 12 | 3 | 8 | 1 | 15:13 | 17 |
| ჰამე | 12 | 4 | 5 | 3 | 22:22 | 17 |
| რონსი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:11 | 16 |
| დესელი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:19 | 16 |
| ინგელმუნსტერი | 10 | 4 | 3 | 3 | 18:17 | 15 |
| ლიეჟი | 12 | 3 | 6 | 3 | 15:15 | 15 |
| გეელი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ტინენი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:22 | 14 |
| დენდერლეუ | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 13 |
| ვიზეტი | 11 | 2 | 6 | 3 | 12:13 | 12 |
| სტრომბეკი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| პატრო | 12 | 0 | 5 | 7 | 9:21 | 5 |
| რუზელარე | 11 | 0 | 4 | 7 | 13:23 | 4 |

## შვედეთი

26-ე ტური: აიკ — ჰელსინგბორგი 1:1; სუნდსვალი — ნორჩიოპინგი 1:1; ჰალმსტადი — მალმიო 1:0; ელფსბორგი — იურგორდენი 0:2; გიოტებორგი — კალმარი 0:2; ლანდსკრონა — ჰამარბი 2:3; იორებრო — იორგრიტე 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 26 | 16 | 4 | 6 | 51:33 | 52 |
| მალმიო | 26 | 14 | 4 | 8 | 52:32 | 46 |
| იორგრიტე | 26 | 12 | 8 | 6 | 49:38 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 10 | 8 | 8 | 38:38 | 38 |
| აიკ | 26 | 9 | 10 | 7 | 35:38 | 37 |
| ჰალმსტადი | 26 | 8 | 12 | 6 | 35:28 | 36 |
| იორებრო | 26 | 9 | 8 | 9 | 32:39 | 35 |
| სუნდსვალი | 26 | 8 | 9 | 9 | 29:35 | 33 |
| ჰამარბი | 26 | 8 | 8 | 10 | 43:42 | 32 |
| ელფსბორგი | 26 | 8 | 8 | 10 | 25:31 | 32 |
| ლანდსკრონა | 26 | 8 | 6 | 12 | 41:39 | 30 |
| გიოტებორგი | 26 | 8 | 4 | 14 | 25:39 | 28 |
| ნორჩიოპინგი | 26 | 6 | 9 | 11 | 37:40 | 27 |
| კალმარი | 26 | 6 | 6 | 14 | 20:40 | 24 |

## ჩეხეთი

30-13 ტური: ტეპლიცე — იაბლონეცი 3:0; ბუდეიოვიცე — სიგმა 3:1; სინოტი — პრჟიბრამი 1:0; ბრნო — ჟიჟკოვი 4:1; ბანიკი — ჰრადეც კრალოვე 4:0. სლავია — ბლშანი, სპარტა — ბოჰემიანსი და ლიბერეცი — ზლინი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 8 | 3 | 0 | 19:3 | 27 |
| სლავია | 11 | 6 | 4 | 1 | 21:8 | 22 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 0 | 5 | 17:15 | 21 |
| ბანიკი | 12 | 6 | 2 | 4 | 19:12 | 20 |
| ლიბერეცი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:13 | 20 |
| ჟიჟკოვი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| იაბლონეცი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:19 | 16 |
| პრჟიბრამი | 12 | 4 | 3 | 5 | 10:10 | 15 |
| ბლშანი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 |
| სინოტი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 5 | 0 | 7 | 18:24 | 15 |
| ბრნო | 12 | 4 | 2 | 6 | 15:16 | 14 |
| სიგმა | 12 | 2 | 5 | 5 | 11:13 | 11 |
| ზლინი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:18 | 10 |
| ბოჰემიანსი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:22 | 9 |
| ჰრადეც კრალოვე | 12 | 0 | 7 | 5 | 7:17 | 7 |

## თურქეთი

30-11 ტური: ალთაი — ადანა 0:4; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 1:0; ელაზიგსფორი — გენჩლერბირლიგი 0:3; გალათასარაი — გიოზთეფე 3:1; გაზიანთეფი — ქოჯაელი 2:1; მალათია — სამსუნი 2:1; ტრაბზონი — დიარბაქირი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 10 | 8 | 2 | 0 | 21:6 | 26 |
| გაზიანთეფი | 11 | 6 | 5 | 0 | 21:11 | 23 |
| ბეშიქთაში | 10 | 6 | 4 | 0 | 16:7 | 22 |
| ტრაბზონი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:6 | 19 |
| გენჩლერი | 11 | 5 | 3 | 3 | 23:14 | 18 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 5 | 2 | 4 | 14:11 | 17 |
| მალათია | 11 | 4 | 4 | 3 | 21:16 | 16 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 4 | 4 | 1 | 16:12 | 16 |
| სამსუნი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | 15 |
| ადანა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:12 | 14 |
| დენიზლი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| ისთანბული | 11 | 3 | 3 | 5 | 11:16 | 12 |
| ელაზიგსფორი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| ბურსა | 10 | 2 | 4 | 4 | 14:17 | 10 |
| გიოზთეფე | 11 | 2 | 4 | 5 | 14:21 | 10 |
| ალთაი | 11 | 2 | 2 | 7 | 13:26 | 8 |
| დიარბაქირი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:20 | 6 |
| ქოჯაელი | 11 | 1 | 1 | 9 | 11:22 | 4 |

# ბამბა აჩხრიალდა

## შვეიცარია

### A ჯგუფი. XVIII ტური

**გრასჰოპერი 3:2 ლუცერნი**

0:1 ბრანდი (4), 1:1, 2:1 ნუნიესი (31, 77), 3:1 რ. შვეგლერი (80), 3:2 დი ჯორიო (87)

ლუცერნი: პოლფიკერი, როტა, მ. მაიერი, კ. შვეგლერი, ბრანდი (ნევზედი 77), ჩადლაშვილი, პოფერი, მალაკარნე, ჯება, პ. კოხი, დი ჯორიო

**აარაუ 3:0 დელემონი**

1:0 შასო (55), 2:0 ბიელი (61), 3:0 პრევიტალი (90)

**ბაზელი 5:3 ციურიხი**

1:0 ერგიჩი (4), 1:1 ს. კელერი (18), 1:2 ჯეფერსონი (26), 2:2 ხ. როსი (41), 3:2 ერგიჩი (45), 4:2 ხ. როსი (55), 4:3 ბასტიდა (56), 5:3 კ. ვარელა (76)

**ქსამაქსი 3:1 იანგ ბოისი**

1:0 ლეანდრო (32), 1:1 შაპუიზა (43), 2:1 რეი (65), 3:1 ბუესი (78)

**თუნი 1:0 სერვეტი**

1:0 ფილბერლანდიო (80)

**ვილი 11:3 სენტ გალენი**

0:1 ბარნეტა (3), 1:1 რ. რომანო (12), 2:1 ბამბა (17), 3:1 ნალდო (24), 4:1 ბამბა (30), 5:1 ფაბინიო (33), 5:2 ტარე-მუმა (38), 5:3 ვოლფი (40), 6:3, 7:3 ბამბა (44, 45), 8:3 რ. რომანო (50), 9:3 ნალდო (52), 10:3 მორდეკუ (70), 11:3 ლუსტრინელი (76)

ორი წლის წინ „სენტ გალენმა" ინგლისური „ჩელსი" უეფას თასიდან დაიფრინა (საპასუხო მატჩში რატი ალექსიძემ ხარიხას გაარტყა, თორემ ლონდონელები გავიდოდნენ), თავის ჩემპიონატშიც ყოჩობდა, თუმც წლეულს ადვილად დასაჩაგრი გუნდი შეიქნა და ვისაც არ ეზარება, ყველა უგებს. გუნდმა თამაშების ნახევარი წააგო, ხოლო ბოლო ტურში საერთოდ გაცამტვერდა — A ჯგუფის ახალბედამ, თანაქალაქელმა „ვილმა" უმოწყალოდ გვემა — 11:3.

არადა, მატჩის დასაწყისი სტუმრებს ცუდს არაფერს უქადდა. ანგარიში მე-3 წუთზე გახსნეს და ბურთსაც აკონტროლებდნენ. მაგრამ მე-12 წუთიდან მოყოლებული 21 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა ერთბაშად ხუთი გოლი უსახსოვრეს მოწინააღმდეგეს, რასაც ტაიმის ბოლოს ორიც წაამატეს.

მართალია, ოცდაერთწუთიანი წარღვნისა და ბოლო წუთებზე გაშვებულ გოლებს შორის „სენტ გალენმა" ორი, თითქოს ქომაგთათვის გულდამამშვიდებელი გოლი გაიტანა, ტაიმი მაინც 3:7 დათმო.

მეორე ნახევარში კი „ვილი" სულ მთლად დასაბმელი გახდა. პირველ ოროცდახუთწუთეულში გატანილ შეიდს მეორეში ოთხიც მიამატა და შვეიცარიის ჩემპიონატის ახალი რეკორდიც გამოაცხო. საქმე ისაა, რომ შორეულ 1962 წელს „სერვეტსა" და „გრანჟეს" შორის მატჩში 13 გოლი გავიდა და აი, ორმოცი წლის თავზე „ვილი" და „სენტ გალენი" 14 გოლს შესწვდნენ.

აღსანიშნავია, რომ იაკუბა ბამბამ ოთხი გოლი მიითვალა.

ზურაბ რუხაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 18 | 13 | 2 | 3 | 50:22 | 41 |
| ბაზელი | 18 | 12 | 4 | 2 | 48:21 | 40 |
| ვილი | 18 | 7 | 6 | 5 | 39:36 | 27 |
| თუნი | 18 | 8 | 3 | 7 | 28:26 | 27 |
| იანგ ბოისი | 18 | 7 | 5 | 6 | 30:29 | 26 |
| ციურიხი | 18 | 8 | 2 | 8 | 26:29 | 26 |
| სერვეტი | 18 | 7 | 2 | 9 | 36:31 | 23 |
| ქსამაქსი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:28 | 23 |
| ლუცერნი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:32 | 20 |
| დელემონი | 18 | 6 | 1 | 11 | 20:32 | 19 |
| სენტ გალენი | 18 | 4 | 5 | 9 | 25:44 | 17 |
| აარაუ | 18 | 3 | 3 | 12 | 15:34 | 12 |

*„ლუცერნს" დაკლებული აქვს 2 ქულა*

### B ჯგუფი. XVIII ტური

ბადენი — შაფჰაუზენი 3:4; კრიენსი — ივერდონი 2:1; ლუგანო — ბელინცონა 3:1; სიონი — კონკორდია 6:1; ვინტერთური — ვოლენი 1:3. ლოზანა — ვადუცი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 18 | 11 | 5 | 2 | 31:11 | 31 |
| კრიენსი | 18 | 8 | 5 | 5 | 39:28 | 29 |
| ვადუცი | 17 | 8 | 5 | 4 | 31:25 | 29 |
| სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 28:24 | 29 |
| ლოზანა | 17 | 9 | 1 | 7 | 22:22 | 28 |
| შაფჰაუზენი | 18 | 7 | 7 | 4 | 27:29 | 28 |
| ივერდონი | 18 | 7 | 6 | 5 | 29:16 | 27 |
| ბელინცონა | 18 | 6 | 4 | 8 | 27:28 | 22 |
| კონკორდია | 18 | 4 | 6 | 8 | 22:37 | 18 |
| ვოლენი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:33 | 16 |
| ბადენი | 18 | 3 | 5 | 10 | 22:32 | 14 |
| ვინტერთური | 18 | 3 | 6 | 9 | 21:33 | 11 |

*„ლუგანოს" დაკლებული აქვს 7 ქულა*
*„ვინტერთურს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## საბერძნეთი

30-6 ტური: ეგალეო — ირაკლისი 0:2; აკრატიტოსი — პაოკ 1:3; პანიონიოსი — იანინა 2:0; ოლიმპიაკოსი — პროდეფტიკი 0:0; პანაჰაიკი — პანათინაიკოსი 0:3; ოფი — აეკ 1:0; არისი — ქსანთი 1:1; კალითეა — იონიკოსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანიონიოსი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| ირაკლისი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| აეკ | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:3 | 12 |
| პაოკ | 6 | 3 | 2 | 1 | 14:9 | 11 |
| პროდეფტიკი | 6 | 2 | 4 | 0 | 4:2 | 10 |
| არისი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ეგალეო | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 |
| იონიკოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ქსანთი | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 7 |
| ოფი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| კალითეა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:8 | 4 |
| აკრატიტოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| იანინა | 6 | 1 | 0 | 5 | 6:11 | 3 |
| პანაჰაიკი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:13 | 0 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. X ტური

**ტვენტე 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბუმა, ოიერი, ჰოფლანდი, ბოგელუნდი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი (ა. რამზი 90), კეჟმანი, ბრუგინკი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 67)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

**ექსელსიორი 0:0 ნაიმეგენი**

**როზენდალი 0:0 ვალვაიკი**

**ჰერენვენი 3:1 გრააფსხაპი**

1:0 ჰანსონი (14), 1:1 ვან დერ ჰაარი (44), 2:1 ჰანსონი (53), 3:1 დენებოომი (55)

**აიაქსი 3:0 ტილბურგი**

1:0 მიდო (8), 2:0 ვან დერ ვაარტი (72), 3:0 პიენაარი (86)

**გრონინგენი 0:2 ფეიენოორდი**

0:1 ბუფელი (47), 0:2 ონო (63)

**უტრეხტი 1:0 ბრედა**

1:0 ვან დენ ბერგი (81)

**ცვოლე 5:1 ალკმაარი**

1:0 შოპსი (1), 2:0, 3:0 პრომესი (11, 29), 4:0 ბოსხაარტი (44), 5:0 პრომესი (45), 5:1 პერესი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 10 | 8 | 2 | 0 | 27:11 | 26 |
| პსვ | 10 | 7 | 3 | 0 | 25:3 | 24 |
| ფეიენოორდი | 10 | 6 | 2 | 2 | 26:12 | 20 |
| როდა | 10 | 5 | 4 | 1 | 22:12 | 19 |
| ბრედა | 10 | 3 | 6 | 1 | 14:8 | 15 |
| ტილბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:15 | 15 |
| ნაიმეგენი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:15 | 15 |
| ვალვაიკი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:18 | 15 |
| უტრეხტი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| ვიტესი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:10 | 12 |
| ექსელსიორი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:16 | 12 |
| ზვოლე | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| ტვენტე | 10 | 2 | 4 | 4 | 11:18 | 10 |
| ალკმაარი | 10 | 3 | 1 | 6 | 16:28 | 10 |
| როზენდალი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:16 | 9 |
| ჰერენვენი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | 9 |
| გრააფსხაპი | 10 | 1 | 0 | 9 | 7:28 | 3 |
| გრონინგენი | 9 | 0 | 1 | 8 | 7:21 | 1 |

### II დივიზიონი

მე-10 ტური: დენ ჰააგი — ოსი 1:2; ტელსტარი — კამბური 3:2; სპარტა — ჰერაკლესი 2:3; მაასტრიხტი — ჰელმონდი 1:4; სიტარდი — ემენი 0:0; ეინდჰოვენი — ვოლენდამი 1:2; დენ ბოსხი — ვეენდამი 3:0; ვენლო — ჰაარლემი 3:0; დორდრეხტი — იგლსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემენი | 10 | 8 | 1 | 1 | 20:5 | 25 |
| ჰერაკლესი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:17 | 24 |
| დენ ჰააგი | 10 | 7 | 1 | 2 | 22:9 | 22 |
| ჰელმონდი | 10 | 6 | 1 | 3 | 29:16 | 19 |
| ვოლენდამი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:17 | 19 |
| კამბური | 10 | 6 | 0 | 4 | 18:14 | 18 |
| იგლსი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:13 | 17 |
| ოსი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:18 | 17 |
| ტელსტარი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:14 | 16 |
| დენ ბოსხი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:11 | 14 |
| სპარტა | 10 | 4 | 2 | 4 | 21:17 | 14 |
| ვეენდამი | 10 | 3 | 2 | 5 | 17:21 | 11 |
| ჰაარლემი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:21 | 9 |
| ეინდჰოვენი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:17 | 8 |
| ვენლო | 10 | 2 | 1 | 7 | 13:24 | 7 |
| სიტარდი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |
| მაასტრიხტი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:19 | 6 |
| დორდრეხტი | 10 | 0 | 1 | 9 | 11:29 | 1 |

## პოლონეთი

მე-12 ტური: გარბანია — გროცლინი 2:4; პოლონია — ვისლა 0:4; რუხი — ზაგლებე 0:3; ამიცა — ოდრა 0:2; კატოვიცე — ოსტროვიცი 2:1; პლოცკი — გურნიკი 0:0; ვიძევი — პოგონი 1:1; ლეხი — ლეგია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 7 | 3 | 2 | 31:14 | 24 |
| ლეგია | 12 | 6 | 6 | 0 | 21:11 | 24 |
| ოდრა | 12 | 7 | 3 | 2 | 19:14 | 24 |
| კატოვიცე | 12 | 7 | 2 | 3 | 15:8 | 23 |
| გროცლინი | 12 | 6 | 4 | 2 | 22:16 | 22 |
| ამიცა | 12 | 4 | 5 | 3 | 15:12 | 17 |
| გურნიკი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:15 | 16 |
| პლოცკი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:14 | 16 |
| პოლონია | 12 | 4 | 3 | 5 | 15:21 | 15 |
| გარბანია | 12 | 3 | 4 | 5 | 21:24 | 13 |
| რუხი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:20 | 13 |
| ზაგლებე | 12 | 3 | 3 | 6 | 14:13 | 12 |
| ვიძევი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:15 | 11 |
| ოსტროვიცი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:24 | 11 |
| ლეხი | 12 | 1 | 7 | 4 | 10:14 | 10 |
| პოგონი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:26 | 6 |

## პორტუგალია

### I ლიგა. IX ტური

**ვარზიმი 4:1 მარიტიმუ**

1:0 ჟილმარი (25), 1:1 დინდა სანტუში (64), 2:1, 3:1 ჟოზე ანტონიუ (68, 71), 4:1 კიმ ბერტუ (87)

**მორეირენსე 2:2 სეტუბალი**

1:0 არმანდუ (7), 1:1, 1:2 რუი მიგელი (11, 54), 2:2 მაურო სეზარი (77)

**აკადემიკა 3:2 ლეირია**

0:1 კიბეი (2), 1:1 რ. ასუნსაო (9ს.კ.), 1:2 დუალა (34), 2:2, 3:2 დ. მონტეირუ (37, 64)

**ფერეირა 1:0 ბეირა მარი**

1:0 ბრუნო მაურუ (56)

**სანტა კლარა 1:2 ბენფიკა**

1:0 ჟოაუ პედრუ (14), 1:1, 1:2 სიმაო (43, 71)

**ბრაგა 2:4 გიმარაეში**

0:1 პ. მენდეში (11), 0:2 რ. ალმეიდა (32), 0:3 ნუნუ ასისი (45), 1:3 ჟოზე ბაროსო (49), 1:4 რ. დიასი (57), 2:4 არიეტა (62)

**სპორტინგი 0:3 ჟილ ვისენტე**

0:1 ფილიუ (2), 0:2 გასპარი (20), 0:3 პაულუ ალვეში (90)

**ბელენენსეში — ბოავიშტა**

**პორტუ — ნასიონალი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიმარაეში | 9 | 6 | 1 | 2 | 22:14 | 19 |
| პორტუ | 8 | 5 | 3 | 0 | 14:7 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 17 |
| ვარზიმი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| ბელენენსეში | 8 | 5 | 1 | 2 | 12:9 | 16 |
| სპორტინგი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| ფერეირა | 9 | 4 | 1 | 4 | 13:9 | 13 |
| ბრაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 12:15 | 13 |
| სეტუბალი | 9 | 2 | 6 | 1 | 13:8 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ბოავიშტა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| მარიტიმუ | 8 | 3 | 1 | 4 | 7:14 | 10 |
| ბეირა მარი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| ნასიონალი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | 8 |
| ლეირია | 9 | 2 | 2 | 5 | 9:14 | 8 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | 7 |
| მორეირენსე | 9 | 2 | 1 | 6 | 10:15 | 7 |
| აკადემიკა | 9 | 1 | 4 | 4 | 9:14 | 7 |

### II ლიგა

მე-9 ტური: ლამაში — ავეში 0:2; პენაფიელი — მარკუ 2:1; პორტიმონენსე — რიუ ავე 1:1; მაია — კოვილია 1:0; მადეირა — ლეცა 0:0; ამადორა — ალვერკა 3:1; სალგეიროში — ნავალი 1:1; ფარენსე — შავეში 2:1; ფელგეირაში — ოვაირენსე 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალგეიროში | 9 | 5 | 3 | 1 | 16:6 | 18 |
| ალვერკა | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| მარკუ | 9 | 5 | 2 | 2 | 20:12 | 17 |
| კოვილია | 10 | 4 | 3 | 3 | 11:6 | 15 |
| ფარენსე | 9 | 4 | 3 | 2 | 9:9 | 15 |
| ამადორა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 14 |
| პორტიმონენსე | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 13 |
| ავეში | 9 | 4 | 1 | 4 | 11:10 | 13 |
| მაია | 9 | 3 | 3 | 3 | 12:13 | 12 |
| ოვაირენსე | 9 | 4 | 0 | 5 | 14:17 | 12 |
| რიუ ავე | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| ნავალი | 8 | 2 | 4 | 2 | 5:5 | 10 |
| შავეში | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | 10 |
| ლეცა | 8 | 2 | 4 | 2 | 3:5 | 10 |
| პენაფიელი | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | 10 |
| ფელგეირაში | 9 | 3 | 0 | 6 | 7:13 | 9 |
| მადეირა | 9 | 1 | 5 | 3 | 7:11 | 8 |
| ლამაში | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | 5 |

## დანია

მე-14 ტური: ორჰუსი — ბრონდბიუ 2:1; ოლბორგი — ოდენსე 2:1; ესბიერგი — სილკებორგი 1:1; აკადემისკი — ვიბორგი 1:1; მიდტიულანდი — კოგე 5:0; კოპენჰაგენი — ფარუმი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 14 | 9 | 3 | 2 | 25:15 | 30 |
| ესბიერგი | 14 | 6 | 4 | 4 | 30:26 | 22 |
| ოლბორგი | 14 | 7 | 1 | 6 | 21:20 | 22 |
| ბრონდბიუ | 14 | 6 | 3 | 5 | 25:17 | 21 |
| ფარუმი | 14 | 7 | 0 | 7 | 18:21 | 21 |
| მიდტიულანდი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| ოდენსე | 14 | 5 | 3 | 6 | 20:18 | 18 |
| ორჰუსი | 14 | 5 | 3 | 6 | 20:24 | 18 |
| სილკებორგი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:19 | 16 |
| კოგე | 14 | 5 | 1 | 8 | 22:32 | 16 |
| აკადემისკი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:18 | 15 |
| ვიბორგი | 14 | 3 | 6 | 5 | 21:26 | 15 |


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი“,
ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის,
დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით



**ტელ: 22-23-15**


# ბექემს ცოლი ვერ წაართვეს

# 5 000 000 £

## ვიქტორიას სინატიფეს ჯიბგირებმა ფასი დაადეს

## მაფიის შეთქმულება გაზეთმა გახეთქა






ამბავი კვირას მოხდა — ვიქტორია ბექემის მოტაცებაში ეჭვმიტანილი ხუთკაციანი ბანდა ბრიტანელმა ძალოვანებმა დააკავეს.

ახლა კი ყველაფერს რიგ-რიგობით მოგახსენებთ. გაერთიანებულ სამეფოში გამომავალმა გაზეთმა „News of the World“-მა „სკოტლანდ იარდს“ აცნობა ამ კრიმინალური დაჯგუფების და მისი ზრახვების შესახებ.

ბრიტანულმა პოლიციამ კი სათანადო ზომები მიიღო და ბექემთა ოჯახიდან პირველს დევიდს აცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

დევიდ ბექემი კონსულტაციის სახით გაესაუბრა პოლიციას და კერძო დაცვის წევრებს, მერე კი ყოველივე მეუღლეს აცნობა.

ქმარმა ვიქტორიას ეს შაბათს გააგებინა, როცა „პოში“ „მანჩესტერ“ — „საუთჰემპტონის“ მატჩის საყურებლად სოფაზე თუ სავარძელში გახლდათ მოკალათებული.

იმ დროისთვის ძალოვანთა ბადრაგი უკვე ბექემთა 2,5 მილიონგირვანქიან სახლთან გახლდათ მანჩესტერში. მათ იქ ყველაფერი შეამოწმეს და ჯაშუში ვიდეოკამერებიც დაამონტაჟეს.

„ყველაფერი ისეა, თითქოს დაცვა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს იცავს და არა ფეხბურთელის სახლს“ — იუწყება გაზეთი „სანი“. ბექემების უფროსი ვაჟი ბრუკლინი სამი წლისაა, უმცროსი რომეო კი ორი თვის.

ბანდის შავბნელი გეგმა ასეთი გახლდათ. — ქლოროფორმით გაეთიშათ ვიქტორია, წაეყვანათ ის ლონდონის სამხრეთ უბან ბროქსტონში და კელიაში გამოეკეტათ.

დაკავებული ბანდის ერთ-ერთმა წევრმა ისიც თქვა, კარგი იქნებოდა, ვიქტორიას ორივე ბავშვი თან ხლებოდა და თუ ქმარი არ გადაიხდიდა, ჯერ ცოლს მოვუკლავდითო.

რაც შეეხება თანხას, ჯიბგირები 5 მილიონი გირვანქის მოთხოვნას აპირებდნენ.

ძალოვანებმა ისინი სასტუმრო „იბისის“ ავტოპარკში დაიჭირეს, ალმოსავლეთ ლონდონის უბან დოკლენდსში — ფურგონიდან 12 ოფიცერი გადმოხტა, შაშხანებმომარჯვებულებმა „რენო-ლაგუნადან“ სამი ეჭვმიტანილი გადმოათრიეს და დააბორკილეს.

„მსურს, მადლობა ვუთხრა პოლიციას პროფესიონალიზმისა და მხარდაჭერისთვის. როგორც კი პოლიციამ ინფორმაცია მიიღო „News of the World“-isgan, საოცრად ეფექტურად იმოქმედა“ — ასეთი გახლდათ დევიდ ბექემის სამადლობელო.

ახლა ბექემები სხვა ბინაში სახლობენ, რომელიც 1,2 მილიონ გირვანქად შეიძინეს და ლონდონის უბან ჩეშირში დგას.

დევიდმა SAS-ის ექვსი კაცი დაიქირავა. SAS ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმი გახლავთ. ეს მომსახურეობა ფეხბურთელს წლიურად 350 000 გირვანქა დაუჯდება.

„ქმრის და მამის უპირველესი მოვალეობაა ოჯახის უსაფრთხოება“ — უთქვამს „მანჩესტერისა“ და ინგლისის ეროვნული გუნდის სუპერვარსკვლავს.

ბანდას დავუბრუნდეთ. როცა ზემოთ ნახსენები სამი კაცი დააკავეს, ფაქტობრივად, იმავე დროს კიდევ ორი კაცი აიყვანა პოლიციამ მორდენში, ლონდონის სამხრეთით.

დამნაშავეთა ჯგუფი აღმოსავლეთევროპულია, მათი წევრები ალბანური და რუმინული წარმოშობისა არიან.

მოგვიანებით პოლიციამ კიდევ ოთხი ეჭვმიტანილი დააპატიმრა. ასე რომ, დაკავებულთა რიცხვი ცხრამდე გაიზარდა.

საქმეს ლონდონის პოლიციის ცენტრალური განყოფილება უძღვებოდა. მათი წარმომადგენლების თქმით, ვიქტორიას რამდენიმე კვირით ადრე დაუწყეს თვალთვალი. მაფიოზური ტიპის ბანდა „პოშს“ თურმე საპარიკმახეროში წასულსაც უთვალთვალებდა.

„უსაფრთხოების კარგი სამსახური გვყავს, მაგრამ როგორ გინდა, ასი პროცენტით მაინც დარწმუნებული იყო, რომ დაცული იქნები მაშინაც კი, როცა ვილაც ასეთი შეშლილი გამოჩნდება. საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ ვიღაცას სურს შენი და შენი შვილების მოტაცება“ — ცხადიცაა, თუ რა ემოციებით იქნებოდა დამუხტული ვიქტორია ბექემი.

„პოში“ 28 წლის ვიქტორიას „სპაისგელზური“ თიკუნი გახლავთ და ჩვენებურად ის ძალიან მარიაჟულს ნიშნავს. მართლაც, ვიქტორია ერთობ ნატიფი და მგრძნობიარე არსება გახლავთ და ნერვები საშინელ დღეში აქვს.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაუდგენელი პიროვნებები იმუქრებოდნენ ვიქტორიასა და ბრუკლინის მოტაცებით.

მერე „პოშს“ თავისივე დამახინჯებული საგაზეთო ფოტო გამოუგზავნეს, რომელზეც ვიქტორიას ტყვია ჰქონდა დამიზნებული.

კიდევ იყო შემთხვევა, როცა „პოშმა“ სხეულზე იარაღის წითელი ლაზერის სხივი შენიშნა. პოლიციამ მაშინ აღმოაჩინა, რომ საძინებლო კარი ღია იყო, საიდანაც ალბათ გადიოდა ლაზერი.

შედეგად, ბექემის მეუღლე ფსიქოზური ავადმყოფობით იტანჯება — უცაბედად მუცელზე წაივლებს ხოლმე ხელებს თუ სროლისმაგვარ ხმაურს გაიგებს. ეს მას პერიოდულად ემართება მეორე მშობიარობის შემდეგ.

აი, ასეთი გახლავთ ბექემების საგა.

**დავით თავართქილაძე**



ამ ბიჭებს ბექჰემის ცოლი უნდოდათ

19-წლამდელები თბილისი, 2 ნოემბერი, „ეროვნული“

## საქართველო 19:49 საფრანგეთი

საქართველო: შალიკაშვილი, ძიძიშვილი, გიგაური, გეგიძე, ელიზბარაშვილი (გაბუნია), ბარკალაია, მჟავანაძე (ფაილოძე); სანიკიძე (ყალიჩავა), ყუფარაძე (ჩახვაძე), მელიქიძე (სპანდერაშვილი), სუთიაშვილი, ალიქაძე, ნატროშვილი, მალალურაძე, გორგოძე (კაპიტანი)

1 ლ: ბარკალაია; 1 გ: ბარკალაია; 4 ს: ბარკალაია

საფრანგეთი: ჟორე, ფილიპი, დელგადო (დარიკი), ლატურნე, ბურე, ბუქსი (კაპ.), სიბრაი; კაზალი, ეგუი, მონტე, ზორზე, ლაკრუა (დომინგო), ბონტიკი, შულტი (მალონგა), ეპიტო (კლარკი)

6ლ: ფილიპი (2), ბურე (2), დარიკი, ბონტიკი; 5გ: ბუქსი; 1ს: ბუქსი; 2ა: ბუქსი

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

# ფრანგებმა ქართველები არ ინანეს

## კარგები ხართ, მაგრები ხართ, ოღონდ იაზროვნეთ



იშვიათი მომენტი: გიორგი გეგიძემ ფრანგი შებოჭა

— **უარეს შედეგს** ველოდი. გუნდი სამი დღეა, შეიკრიბა და შეთამაშება ვერ მოვასწარით. თანაც ქუთაისელი, ბათუმელი და ფოთელი მორაგბეები მატჩის წინა დღეს ჩამოვიდნენ. გპირდებით, ეს გუნდი გაცილებით მეტს მიაღწევს. მთავარია, მეტი ვიშრომოთ — ალალად თქვა მატჩის შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა.

ნარიმანაშვილი ორი წელია, ამ გუნდს წვრთნის და რაც თავკაცად დაინიშნა, ჩვენი 19-წლამდელები ზევით და ზევით მიდიან. შარშანწინ მსოფლიოს თასის ქვე 16-გუნდა ჯგუფში იმარჯვეს და ელიტაში ავიდნენ, წლეულს კი ბობოლებში მე-10 ადგილი დაიკავეს.

იმ გუნდიდან შაბათს მხოლოდ ოთხი მორაგბე თამაშობდა — გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი გეგიძე, მამუკა გორგოძე და დათო ყუფარაძე. ნარიმანაშვილს მეტოქე გუნდის მწვრთნელი ფაბრის ბროშარი დაეთანხმა: „რასაც ველოდით, ის ვნახეთ, ჩვენ გვინდოდა, ბრძოლისუნარიან გუნდს გავჯიბრებოდით. დღეს ჩვენს წინააღმდეგ იდგა ნაკრები, რომელიც ბოლომდე იბრძოდა, თუმც აკლდა შეთამაშება და გუნდური აზროვნება. ანგარიშში სხვაობამ არ მოგატყუოთ. ქართველებმა იმედი გაგვიმართლეს. არ ვნანობთ, რომ იტალიას ვამჯობინეთ, დღეს ბევრი რამ შეგვმატა თქვენს ნაკრებთან თამაშმა. თუ ეს გუნდი სწორი მიმართულებით წავა, ძალიან ბევრს მიაღწევს“.

ბროშარმა ჩვენს ბიჭებს შეუქო თავდადება და სიმამაცე, მაგრამ შეცდომებზეც მიუთითა ნარიმანაშვილს. კერძოდ, ქართველები არ იყენებდნენ ფრთებს, ვერ შლიდნენ თამაშს და თითქმის ყველა ჯაჯგურში ფრანგები იმარჯვებდნენ. ჩვენები ძალიან ბევრს სცოდავდნენ მიწაზე ბურთისთვის ბრძოლისას და აუტებში, ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ.



თითქმის ყველა ჯაჯგურში ფრანგები ქართველებს ბურთს მარჯვედართმევდნენ

ერთი სიტყვით, სტუმრებმა ჩვენებს აჯობეს ყველაფერში. ჩვენ რა? რა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ცხადად დაინახა, საითკენ მართებს მუშაობა, რა შეცდომების გამოსწორება მოუწევს სამსოფლიოსთასოდ.

რაც მთავარია, ჩვენებისთვის ეს იყო პირველი სერიოზული სპარინგი წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ. ახალშეკრული და გამოუცდელი გუნდისთვის კი ძალიან ძნელია ეჭიდაოს ისეთ ნაკრებს, რომელიც ფრანგული რაგბის 9 სპეციალიზებულ სკოლაში გამოწრთობილი ჯეელებით არის დაკომპლექტებული. მათი თამაშიდანაც კარგად გამოჩნდა, თუ რამხელა უფსკრულია ჩვენსა და დიდი სარაგბო ტრადიციების მქონე ქვეყნებს შორის. ის სულ სხვა სარაგბო კულტურა და სხვა დონეა. ეს პაატა ნარიმანაშვილმაც აღნიშნა. „ფრანგებთან სპარინგი ჩვენთვის იყო ერთ-ერთი მთავარი ეტაპი საგაისო მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად. ასეთ გუნდთან თამაში ბევრის ოცნებაა. მადლობას ვუხდი მეტოქეს აქ ჩამოსვლისთვის. იმედია, სამომავლოდაც ვითანამშრომლებთ“.

ბროშარმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, საქართველოში კიდევ ჩამოვალთ, თუ ჩვენი რაგბის ფედერაცია დასტურს იტყვისო.

ისევ ბროშარი: „არ იფიქროთ, რომ ზრდილობის გამო გაქებთ. თქვენს ნაკრებს შეუძლია, წამყვან სარაგბო ქვეყნებს გაუტოლდეს, ოღონდ შეცდომები უნდა გამოასწორონ, თორემ თავდადება და სიმამაცე არ აკლიათ“.

**ბაჩო სვანიძე**



საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# მუქთადაც არავის გინდათ?!

## კალათბურთმა იავნანა ჰქმნა

**ირაკლი ბერტაია**

**წინა ოთხშაბათს** „ჩელენჯ ქაფზე“ „დინამოს“ „ხიმიკი“ რომ სტუმრობდა, ორლარიანი ბილეთების მიუხედავად ვერის ბაღის დარბაზი პირთამდე გაივსო, შაბათს კი საქართველოს უფასო ჩემპიონატის მატჩში დინამოელები „მაკაბის“ ეთამაშებოდნენ და ტრიბუნებზე 50-მდე მაცქერალი ძლივს შეგროვილიყო.

თქმა არ უნდა, ამათი უმრავლესობა „ხიმიკთან“ წაგებულ მატჩსაც დაესწრებოდა, ჰოდა, ასეთები „დინამო“ — „მაკაბის“ პირველ ტაიმსა და იმ თამაშს შორის ბევრ მსგავსებას ნახავდნენ. პირველ რიგში, ასე ვთქვათ, სიუჟეტს ვგულისხმობთ, თორემ „მაკაბი“ „ხიმიკთან“ ახლოსაც რომ ვერ მივა, ეს რა სადავოა.

სიუჟეტი კი ასეთი იყო: „მაკაბი“ მთელი პირველი ტაიმი ლიდერობდა, „დინამო“ კი წამოწევას ცდილობდა, მაგრამ, „ხიმიკთან“ მატჩისა არ იყოს, სროლისას ბევრს სცოდავდა. მაკაბელთა მძლავრი იარაღი უკანა ხაზი იყო: ირაკლი ბერიშვილი ხშირად აგდებდა, საჭიროებისას არც პასს უგვიანებდა „დინამოს“ ფარზე დაგეშილ, ამ ბოლო დროს ათამაშებულ და „მაკაბის“ ძირითადში ფეხმოკიდებულ გივი ვაშაკიძეს, რომლის 7 ქულამ პირველი ათწუთეულის ბოლოს განსაზღვრა კიდეც მაკაბელთა ლიდერობა — 20:13.

აქამდე, და ალბათ ახლაც სხვებზე მეტად შეწყობილ-შეთამაშებულ „დინამოს“ იუგოსლაველ იოვან სიროვინას მოსვლის შემდეგ გადაწყობა უწევს. საგულდაგულოდ შერჩეული იუგოსლაველი, როგორც ამბობენ, ყველაზე დიდხელფასიანი კალათბურთელია დინამოელთაგან. კოჭებში ეტყობა, არაა ცუდი მოთამაშე და, როგორც ჩანს, იგი კი არ ერგება ახალ გუნდს, უფრო დინამოელები ერგებიან სერბის თამაშს. „მაკაბისთანაც“ დაახლოებით ასეთი რამ ხდებოდა და ალბათ ამიტომ იყო, რომ დინამოელები პირველად პირველი ტაიმის საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე დაწინაურდნენ — ზორბა ტომას ვენსკუნასმა სამქულიანი ჩააგდო (35:32).

მესამე მეოთხედიდან „დინამოსთვის“ ყველაფერი დალაგდა, მაგრამ არა ისე, ლევან მოსეშვილის გუნდს უმთავარმწვრთნელო მაკაბელებისთვის ერთბაშად გადაევლოს. „მაკაბის“ ლევან ინწკირველი თავკაცობდა, რომელიც დროული წუთმესვენებებითა და შეცვლებით „დინამოს“ დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა. დინამოელებმა ბოლო მეოთხედში მაინც იძალეს და მაკაბელები „შესაფერისი“ სხვაობით დაამარცხეს — 83:62.

ეს შაბათის რიგით მეორე მატჩი იყო, ხოლო მანამდელი თსუ — სსუ-ს დაწყებისას მაყურებელთაგან ერთი საკალათბურთო გუნდი ძლივს შეიკრებოდა. ანდა რა გასაკვირია, ამ მატჩს გულშემატკივარი რომ აკლდა, შედეგი წინდაწინ იყო ცნობილი. სოხუმელები თბილისელებთან განწირულები იყვნენ. ეს ამბავი, ცხადია, ვაჟა კვარაცხელიამაც უწყოდა და თავისი გუნდი თსუელებთან რამდენიმე სათამაშო კომპონენტში წაავარჯიშა — როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო (თსუ 40 ქულას იგებდა), სოხუმელები ხან პრესინგს მიმართავდნენ, ხანაც რაღაც დამუშავებულ კომბინაციებს ათამაშებდნენ. თბილისელები ბოლოს წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ სოხუმელებს და ბოლო ათწუთეული 15:34 წააგეს, მაგრამ თსუ-ელები მანამდე ისე დაწინაურებულიყვნენ, რომ საბოლოოდ მაინც 19 ქულით გაიმარჯვეს.

ეს უინტერესო ტური „ღირსეულად“ დაასრულა სტუ — „აზოტის“ მატჩმა, რომელიც იავნანას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქომაგობის იშტაზე მომყვან თამაშს. რუსთაველებს ტრავმის გამო ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი აკლდათ და ასეც რომ არ ყოფილიყო, ძნელად თუ რამე გამოუვიდოდათ სტუმრებს.

გოგობერიშვილის არყოფნისას სტუელმა უკანახაზელებმა გაილაღეს, უფრო კი, კოტე ტულუში გამოირჩეოდა, რომელიც თანაგუნდელ გულივერ ახალკაცთან ერთად 22 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. მეორე ტაიმი დაიწყო და თბილისელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააბიჯა, რუსთაველებიც ალბათ აქ მიხვდნენ, რომ აღარაფერი გამოუვიდოდათ. სტუ-მ საბოლოოდ 27-ქულიანი მარცხით გაისტუმრა „აზოტი“, რომელსაც ამიერიდან საკუთარი კედლების იმედიც ექნება — მომავალ შაბათს რუსთავს კალათბურთი დაუბრუნდება, ოთარ ხმელიძის გუნდი საშინაო მატჩებს ქიმიკოსთა განახლებულ დარბაზში გამართავს.



დინამოს იუგოსლაველ იოვან სიროვინას ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში მაკაბელი გივი ვაშაკიძე იჭერდა

**თსუ 101:82 სსუ**

30:11, 32:15, 24:22, 15:34

თსუ: ა. ბერიშვილი (23), ტურაშვილი (7), ორმოცაძე (16), ქარაბაკი (7), კილაძე (4); ზანგურაშვილი (14), გამყრელიძე (6), ფეთხვაძე (2), სანიკიძე (14), მიქაძე (8)

სსუ: ჩიტაშვილი (10), სორდია (3), კანკია (21), კვაჭაძე (7), ლუკავა (9); პატარაია, აბულაძე (7), ბ. ქვილითაია (10), გ. ხოშტარია (2), ბარბაქაძე (7), ონიკაშვილი (6)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლია ქაჯაია

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სტუ 102:75 აზოტი**

32:17, 19:17, 21:15, 30:26

სტუ: ტულუში (22), მარხვაშვილი (2), ლოსაბერიძე (7), ტუჯანი (16), მუშკუდიანი (8); ხეცურიანი (4), გაგნიძე (6), დავითულიანი (7), ახალკაცი (22), ლაფანაშვილი (8)

აზოტი: არნიაძე (8), გაბისონია (12), ჯიმშელეიშვილი (6), ბერუაშვილი (18), მაჭარაძე (14); ლიპარტელიანი (2), დანელიანი (8), კუკულიშვილი (8), ტყეშელაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**მაკაბი 62:83 დინამო**

20:13, 12:22, 14:24, 16:24

მაკაბი: ი. ბერიშვილი (30), კრიხელი (1), კონჯარია (7), ვაშაკიძე (9), ტატუნაშვილი (6); ურუშაძე (9), ანდღულაძე, ნ. ნოზაძე (1)

დინამო: თორთლაძე (6), მარკოიშვილი (2), ბეჟანიშვილი (12), მუპე (4), სიროვინა (16); აბრამიძე (8), ვენსკუნასი (18), ნაცვლიშვილი (2), ფლენტი (9), ჩუბინიძე, ჩხეიძე (7)

მსაჯები: ლაშა თოიძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: რონალდ ხომერიკი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | +213 | 16 |
| ბასკო | 7 | 6 | 1 | +182 | 13 |
| სტუ | 7 | 5 | 2 | +104 | 12 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | +34 | 11 |
| აზოტი | 7 | 4 | 3 | -19 | 11 |
| მაკაბი | 8 | 2 | 6 | -132 | 10 |
| ქუთაისი | 7 | 1 | 6 | -150 | 8 |
| სსუ | 7 | 1 | 6 | -144 | 8 |
| აკადემია | 6 | 0 | 6 | -88 | 6 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 001 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 15.30 | 002 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 15.30 | 003 | ჰამბურგი-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 15.30 | 004 | არმინია-ნიურნბერგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 15.30 | 005 | შალკე-ლევერკუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 15.30 | 006 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 15.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ჰერტა-ჰანზა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 22.00 | 011 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 012 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 013 | ალემანია-უნიონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ფიურტი-ზტ.პაული | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 015 | ალენი-ლიუბეკი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 016 | დუისბურგი-მაინცი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 018 | კიოლნი-როიტლინგენი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | ფრაიბურგი-ტრიერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.15 | 040 | სიტი-მანჩესტერი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 041 | არსენალი-ნიუკასლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-ფულჰემი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 045 | ჩელსი-ბირმინგემი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 046 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 048 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 049 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.05 | 050 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 051 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XVIII ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბრედფორდი-უიმბლდონი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 053 | ბარნლი-ქოვენტრი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 054 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 055 | დერბი-პორტსმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 056 | ჯილინგემი-რედინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ლესტერი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 058 | მილუოლი-პრესტონი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 059 | ნორვიჩი-[illegible] | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 060 | როტერჰემი-უოტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-იფსვიჩი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 062 | სტოკი-გრიმზბი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 063 | ვულვერჰემპტონი-ბრაიტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 064 | ვულვერჰემპტონი-ბრაიტონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **იტალია. სერია "A". I ტური. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 089 | ატალანტა-მოდენა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 23.30 | 090 | კომო-პერუჯა | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 23.30 | 091 | ემპოლი-ინტერი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 23.30 | 092 | მილანი-უდინეზე | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 093 | მილანი-უდინეზე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 23.30 | 094 | პარმა-ბრეშა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.30 | 095 | პიაჩენცა-იუვენტუსი | 4,7 | 3,0 | 1,75 | 1,83 | 1,27 | 1,1 |
| 23.30 | 096 | რეჯინა-ლაციო | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| 23.30 | 097 | რომა-კომო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 098 | რომა-კომო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.30 | 099 | ტორინო-ბოლონია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| | | **იტალია. სერია "B". I ტური. 5 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 111 | ანკონა-ვერონა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 23.30 | 112 | ბარი-ტრიესტინა | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 23.30 | 113 | კალიარი-ვენეცია | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 23.30 | 114 | კატანია-ნაპოლი | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 23.30 | 115 | კოზენცა-პალერმო | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 23.30 | 116 | სალერნიტანა-ასკოლი | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 23.30 | 117 | სიენა-ლეჩე | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |
| 23.30 | 118 | ტერნანა-მესინა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 119 | ვიჩენცა-ჯენოა | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 120 | სამპდორია-ლივორნო | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. IX ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 151 | მალაგა-ოსასუნა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.00 | 152 | რაიო-რეალი | 4,4 | 3,2 | 4,7 | 1,85 | 2,27 | 1,9 |
| 23.00 | 153 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 00.30 | 154 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 155 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 156 | ბარსელონა-ვილიარეალი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 20.00 | 157 | სელტა-ესპანიოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 158 | მალიორკა-ალავესი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 20.00 | 159 | სევილია-რასინგი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 20.00 | 160 | უელვა-ვალიადოლიდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.30 | 161 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. X ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 162 | ტენერიფე-ელჩე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 21.30 | 163 | კორდობა-ლევანტე | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 164 | ხეტაფე-ეიბარი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 15.00 | 165 | ლეგანესი-სპორტინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 166 | ოვიედო-ტერასა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 167 | სალამანკა-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 168 | სარაგოსა-ალმერია | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.00 | 169 | კომპოსტელა-ბადახოსი | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 170 | ფეროლი-ნუმანსია | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 171 | მურსია-ხერესი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 20.00 | 172 | ეხიდო-ლას პალმასი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური. 7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 173 | აიაჩიო-ოსერი | 2,8 | 2,9 | 2,45 | 1,42 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 174 | ლე ავრი-ლიონი | 3,1 | 2,9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 175 | ნიცა-მონაკო | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 176 | ბორდო-რენი | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.00 | 177 | გენგამი-მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 178 | ლილი-ნანტი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 179 | მონპელიე-სედანი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 180 | პსჟ-სოშო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.00 | 181 | სტრასბური-ლანსი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 182 | ტროა-ბასტია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XV ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 183 | ვალკუალი-კანი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 184 | გენიონი-ამიენი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 185 | ისტრი-ნანსი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 23.00 | 186 | ლე მანი-ბოვე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 187 | მეცი-შატორუ | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 188 | ნიორი-ვალანსი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 189 | რეიმსი-გრენობლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.00 | 190 | სტ.ეტიენი-კრეტეი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 191 | ტულუზი-კლერმონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.45 | 192 | ლორიანი-ლავალი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. X ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 193 | გიმარაეში-სპორტინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 194 | მარიტიმუ-ბრაგა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 195 | ბოავიშტა-მორეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 196 | ბოავიშტა-მორეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 01.00 | 197 | სეტუბალი-პორტუ | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 198 | ბეირა მარი-ვარზიმი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 20.00 | 199 | ლეირია-სანტა კლარა | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,11 | 1,24 | 1,9 |
| 20.00 | 200 | ნასიონალი-აკადემიკა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 201 | ბენფიკა-ფეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 202 | ბენფიკა-ფეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 203 | ჟილ ვისენტე-ბელენენსეში | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. X ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 204 | ავეში-ამადორა | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 205 | ალვერკა-სალგეიროში | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 19.00 | 206 | კოვილია-ლეიშოში | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 207 | ოვარენსე-მაია | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 19.00 | 208 | შავეში-მადეირა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 209 | მარკუ-პორტიმონენსე | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 20.00 | 210 | ნავალი-ფარენსე | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 211 | რიუ ავე-ფელგეირაში | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 20.00 | 212 | ლესა-პენაფიელი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XI ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 213 | როდა-აიაქსი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 214 | ტილბურგი-ვიტესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.30 | 215 | ბრედა-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 216 | ბრედა-გრონინგენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.30 | 217 | გრაფსხაპი-ექსელსიორი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.30 | 218 | პსვ-ჰერენვენი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 219 | პსვ-ჰერენვენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 22.30 | 220 | ალკმაარი-როზენდაალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 221 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 17.30 | 222 | ვალვაიკი-უტრეხტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 223 | ფეიენოორდი-ზვოლე | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 224 | ფეიენოორდი-ზვოლე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XI ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 225 | ვენდამი-დორდრეხტი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 23.00 | 226 | ვოლენდამი-სიტარდი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 227 | ვოლენდამი-სიტარდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 228 | იგლსი-ენსხედე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 23.00 | 229 | ოსი-ტელსტარი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 230 | ვენლო-სპარტა | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 231 | კამბური-ჰერაკლესი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.30 | 232 | ემენი-მაასტრიხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 233 | ემენი-მაასტრიხტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 234 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 235 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XII ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 236 | სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 237 | ბრიუგე-გენკი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 238 | ლუვიერი-გენტი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 23.00 | 239 | ლოკერენი-შარლერუა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 240 | ლოკერენი-შარლერუა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 241 | ბევერენი-მუსკრონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 242 | ლომელი-ანტვერპენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 243 | ვესტერლო-მეხელენი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 244 | ლიერსი-მონსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 245 | ლიერსი-მონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 246 | ბეერინგენი-სტანდარდი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XIII ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 247 | ჰეუსდენი-დენდერლეუ | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 248 | ჰეუსდენი-დენდერლეუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 249 | დაინცე-ეუპენი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 250 | პატრო-ინგელმუნსტერი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 23.00 | 251 | ლიეჟი-ტიენენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.00 | 252 | ვირტონი-გეელი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 253 | რუზელარე-დეინზე | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 18.00 | 254 | ვერვიე-ვარეგემი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 255 | სტრომბეკი-რონსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 256 | ვიზე-სერენი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| | | **საბერძნეთი. VII ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 257 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 258 | ირაკლისი-პაოკი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 259 | იანინა-ეგალეო | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 260 | პროოდევტიკი-აკრატიტოსი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.00 | 261 | ქსანთი-პანაჰაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 262 | ქსანთი-პანაჰაიკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.00 | 263 | იონიკოსი-ოფი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 17.00 | 264 | არისი-კალითეა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 265 | არისი-კალითეა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 21.00 | 266 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 267 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | |
| | | **ჩეხეთი. XIV ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 268 | სიგმა-სპარტა | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.15 | 269 | ჟიჟკოვი-სლავია | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 17.00 | 270 | იაბლონეცი-ბანიკი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 271 | ბლშანი-სინოტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 272 | ზლინი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.30 | 273 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 4,0 | 3,0 | 1,9 | 1,71 | 1,28 | 1,16 |
| 19.30 | 274 | პრშიბრამი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 275 | ბოჰემიანსი-ტეპლიცე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| | | **პოლონეთი. XIII ტური. 7 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 276 | ოსტროვეცი-პოლონია | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 277 | ზაგლებე-ამიკა | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 278 | გროცლინი-რუხი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 279 | ლეგია-გარბარნია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 280 | ლეგია-გარბარნია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 21.00 | 281 | პოგონი-ლეხი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 282 | გურნიკი-ვიძევი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 283 | ვისლა-პლოცკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 284 | ვისლა-პლოცკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 285 | ოდრა-კატოვიცე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **თურქეთი. გადადებული მატჩები. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 286 | დენიზლი-ბურსა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 287 | ფენერბახჩე-გალათასარაი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **თურქეთი. XII ტური. 8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 288 | ბეშიქთაში-ელაზიგი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 289 | ბეშიქთაში-ელაზიგი | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 290 | დიარბაქირი-ანკარაგუჩუ | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 291 | გიოზთეპე-ტრაბზონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 292 | ისთანბული-გაზიანთეპი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 21.00 | 293 | ადანა-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 294 | ქოჯაელი-დენიზლი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.30 | 295 | გენჩლერბირლიგი-ალთაი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 15.30 | 296 | ბურსა-მალათია | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.00 | 297 | სამსუნი-ფენერბახჩე | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XIV ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 298 | პარტიკი-აბერდინი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 299 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 300 | მაზერველი-კილმარნოკი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 301 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 302 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 303 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XIII ტური. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 304 | ეარი-ქუინი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 305 | ფოლკირკი-ალოა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 306 | ფოლკირკი-ალოა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 307 | როსი-ინვერნესი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 308 | სტ.ჯონსტონი-არბროათი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 309 | სტ.მირენი-კლაიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **დანია. XV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 320 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 321 | აკადემისკი-კოპენჰაგენი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 18.00 | 322 | კოგე-ფარუმი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 323 | ოდენსე-ორჰუსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 324 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 20.35 | 325 | ბრონდბიუ-ესბიერგი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **ავსტრია. XVII ტური. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 326 | რაპიდი-კერნტენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.30 | 327 | ბრეგენცი-ავსტრია | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| 22.30 | 328 | რიდი-ზალცბურგი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 22.30 | 329 | შტურმი-გრაცერი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.30 | 330 | ადმირა-პაშინგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. გადადებული მატჩი. 9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 336 | ლოზანა-ვადუცი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **რუსეთი. გადადებული მატჩი. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 337 | ალანია-ლოკომოტივი | 5,3 | 3,5 | 1,5 | 2,1 | 1,16 | 1,04 |
| | | **შვედეთი. პლეი ოფი. I მატჩი. 6 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 346 | ტროლჰეტანი-გოთენბორგი | 4,4 | 3,6 | 1,6 | 1,98 | 1,17 | 1,1 |
